IP GEORGIA

საქართველო

გაზაფხული 2013 SPRING

# კრეატიულობა – ახალი თაობა

# CREATIVITY – THE NEXT GENERATION



საბა მამუკაშვილი – გამომგონებელი

SABA MAMUKASHVILI – INVENTOR

ლაკო ბუკია – დიზაინერი

LAKO BUKIA – DESIGNER

ნიკა ნიკვაშვილი – მუსიკოსი

NIKA NIKVASHVILI – MUSICIAN

www.sakpatenti.org.ge

## საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ პერიოდული გამოცემა

# IP საქართველო

## გამოდის სამ თვეში ერთხელ

© საქპატენტი, 2013

## PERIODICAL PUBLICATION OF NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA "SAKPATENTI"

# IP GEORGIA

## PUBLISHED QUARTERLY

© SAKPATENTI, 2013



ირაკლი ღვალაძე
საქპატენტის თავმჯდომარე

IRAKLI GHVALADZE
SAKPATENTI CHAIRMAN

**Dear reader,**

26 April is the World Intellectual Property Day. This year the World Intellectual Property Organization (WIPO) devoted this day to the creative next generation. That is why the present issue of our magazine is dedicated to the next generation, the future talented generation of intellectuals who, by their enthusiasm, striving towards novelty and innovative character shall make our future better. Readers of this issue will familiarize with a young inventor, designer and musician who are already distinguished by their creation and have great success ahead. It is symbolic for our country that along with these young persons, the great part of the magazine is traditionally devoted to Georgian wine – the historical wealth of Georgia. It is symbolic because the uniqueness of our country is exactly in the talent of future generations and great historical past. Therefore, from this issue readers will be informed about a number of interesting news on developments in respect of Georgian wine in recent months. The issue discusses the ways and objectives of Sakpatenti in terms of registration of names: "Georgia – Cradle of Wine" and "Qvevri" as trademarks and legal and commercial importance of these registrations. The same issue contains extensive information as to the necessary measures to be implemented in order to protect Georgian wine, having re-entered the Russian market, against counterfeiting and illegal use of appellations of origin. The issue also presents extensive material on the importance of the activities, goals and objectives of the Technology and Innovation Transfer Center, formed by Sakpatenti. In addition, in the issue readers will meet several interesting respondents on various topics related to intellectual property. That is why I am pleased to present the fourth issue of IP Georgia and on behalf of the editorial board I would like to congratulate all of you on the World Intellectual Property Day, especially the youth who will change the future by their creativity.

**ძვირფასო მკითხველო,**

26 აპრილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეა. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (WIPO) წელს ეს დღე კრეატიულ მომავალ თაობას მიუძღვნა. სწორედ ამიტომ, ჩვენი ჟურნალის ეს ნომერიც ეძღვნება მომავალ თაობას, მომავალ ნიჭიერ თაობას, რომელმაც თავისი შემართებით, სიახლისკენ სწრაფვითა და ინოვაციურობით უკეთესი უნდა გახადოს ჩვენი მომავალი. ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა ახალგაზრდა გამომგონებელს, დიზაინერს და მუსიკოსს, რომლებიც უკვე ძალიან გამოირჩევიან თავიანთი შემოქმედებით და მათ წინ კიდევ უამრავი წარმატება ელით. ჩვენი ქვეყნისთვის სიმბოლურია, რომ ჟურნალის დიდი ნაწილი, ამ ახალგაზრდებთან ერთად, ტრადიციულად ეთმობა ქართულ ღვინოს – საქართველოს ისტორიულ სიმდიდრეს. სიმბოლურია, რადგან ჩვენი ქვეყნის უნიკალურობა სწორედ მომავალი თაობების ნიჭიერებასა და უდიდეს ისტორიულ წარსულშია. ამიტომ, მკითხველი ჟურნალის ამ ნომრიდან ბევრ საინტერესო ინფორმაციას მიიღებს ბოლო თვეების განმავლობაში ქართულ ღვინოსთან დაკავშირებულ სიახლეებზე. ნომერში განხილულია როგორ და რა მიზნით დაარეგისტრირა საქპატენტმა სასაქონლო ნიშნებად „საქართველო – ღვინის აკვანი“ და „ქვევრი“. რა სამართლებრივი და კომერციული მნიშვნელობა აქვს ამ რეგისტრაციებს. ამავე ნომერში წარმოდგენილია ვრცელი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღონისძიების განხორციელებაა აუცილებელი, რათა რუსეთის ბაზარზე დაბრუნებული ქართული ღვინო დაცული იყოს ფალსიფიკაციისა და დასახელებების უკანონო გამოყენებისაგან. ნომერში გამოქვეყნებულია, ასევე, ვრცელი მასალა საქპატენტის მიერ დაფუძნებული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრის მნიშვნელობის, საქმიანობის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ამასთან, ნომერში შეხვდებით ბევრ საინტერესო რესპოდენტს ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა თემებით. სწორედ ამიტომ სიამოვნებით წარმოგიდგენთ „IP საქართველოს“ მე-4 ნომერს და, სარედაქციო კოლეგიის სახელით, ყველას გილოცავთ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეს, განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდებს, რომლებიც თავისი კრეატიულობით ხვალინდელ დღეს შეცვლიან.



**მთავარი რედაქტორი** | **EDITOR-IN-CHIEF**

ქეთევან ბოჯგუა | Ketevan Bojgua

**სარედაქციო კოლეგია** | **EDITORIAL BOARD**

ირაკლი ღვალაძე, ეკატერინე ეგუტია,
ელენე ქემაშვილი-აღმასრულებელი რედაქტორი,
ანი გობეჩია, ეკატერინე შანიძე, ზვიად მათიაშვილი,
რეზო თაბუკაშვილი, გიორგი ქურდიანი

Irakli Ghvaladze, Ekaterine Egutia,
Elene Kemashvili – Executive Editor,
Ani Gobechia, Ekaterine Shanidze, Zviad Matiashvili,
Rezo Tabukashvili, Giorgi Kurdiani

**ტექნიკური რედაქტორები** | **TECHNICAL EDITING**

ნინო ცუხიშვილი, ნინო ბებრიშვილი | Nino Tsukhishvili, Nino Bebrishvili

**ნომერზე მუშაობდნენ** | **AUTHORS**

ქეთევან ბოჯგუა, ელისო ჯარიაშვილი,
ლიკა ბერაია, სოფო კვინტრაძე

Ketevan Bojgua, Eliso Jariashvili,
Lika Beraia, Sophie Kvintradze

**თარგმანი** | **TRANSLATION**

ანა მეტრეველი | Ana Metreveli

**კორექტორი** | **CORRECTOR**

ლალი ჭანტურია | Lali Chanturia

**ფოტო** | **PHOTO**

ვანო ფიცხელაური | Vano Pitskhelauri

**დიზაინი და დაკაბადონება** | **DESIGN AND LAYOUT**

თეონა კერესელიძე | Teona Kereselidze

**პოლიგრაფიული ჯგუფი** | **POLIGRAPHY TEAM**

მიხეილ მეჩიტიშვილი, არსენ ლომიძე, ლალი დოლიძე | Mikheil Mechitishvili, Arsen Lomidze, Lali Dolidze

©საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, 2013

©National Intellectual Property Center of Georgia
“Sakpatenti”, 2013

ISSN 2298–0121
UDK (უაკ) 347.771+347.78+7.078+7.067](47922)
I-83

## ამ ნომერში
## IN THIS ISSUE


### კრეატიულობა – ახალი თაობა
### CREATIVITY – THE NEXT GENERATION

6 მომავლის ქოლგის ქვეშ
UNDER THE FUTURE'S UMBRELLA

18 ლაკო ბუკია – სტილი და ინოვაცია
LAKO BUKIA – STYLE & INNOVATION

34 მუსიკოსი – მაქსიმალისტი
MUSICIAN – MAXIMALIST

10 გამომგონებლები ჩარჩოების გარეშე
INVENTORS WITHOUT BORDERS

13 ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვები ტექნოლოგიების გადაცემის შესახებ
FAQ – FREQUENTLY ASKED QUESTIONS ABOUT TECHNOLOGY TRANSFER

28 საქართველო – ღვინის აკვანი
ქვევრი – კულტურული მემკვიდრეობა
GEORGIA – CRADLE OF WINE
QVEVRI - CULTURAL HERITAGE

38 ქართული ღვინო რუსეთში ბრუნდება
GEORGIAN WINE RETURNS TO RUSSIA

44 ქართული ღვინო თელავის მარნიდან
GEORGIAN WINE FROM TELAVI WINE CELLAR

54 ინტელექტუალურ უფლებებზე საქართ-ველოს კანონმდებლობის ზოგიერთი ტერმინოლოგიური პრობლემის შესახებ
SOME TERMINOLOGICAL PROBLEMS IN INTELLECTUAL RIGHTS LEGISLATION OF GEORGIA

58 მოლაპარაკე კინემატოგრაფი
TALKING CINEMATOGRAPH













26 04

# ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე
# კრეატიულობა – მომავალი თაობა

# WORLD INTELLECTUAL PROPERTY DAY
# CREATIVITY – THE NEXT GENERATION

დღეს კოსმოსური ზონდების, ნანოტექნოლოგიების, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების ეპოქაში – დროში, როცა სამეცნიერო ფანტასტიკა უკვე ყოველდღიურობად იქცა, ისევ აქტუალურია კითხვა, რა იქნება მომავალში, როგორი იქნება ჩვენი რეალობა ხვალ, 1 ან, თუნდაც, 10 წლის შემდეგ?

ამ კითხვას საკმაოდ მყარი საფუძველი აქვს. კაცობრიობა ისე სწრაფად მიდის წინ და ისეთი ინტენსივობით ქმნის ახალს, რომ სრულიად მოსალოდნელია კიდევ ერთი ინოვაცია, რომელიც თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას შეცვლის, სულ ახლო მომავლის პერსპექტივა იყოს.

სავსებით რეალურია ისიც, რომ ინოვაციის, რევოლუციური გამოგონების ან, თუნდაც, ახალი მუსიკალური მიმდინარეობის შემქმნელი ჩვენ გვერდით ცხოვრობდეს, სწავლობდეს უნივერსიტეტში ან მეზობელ სკოლაში, დაგვიმეგობრდეს რომელიმე სოციალურ ქსელში.

მომავლის შემოქმედი ხომ მომავალი თაობაა – ადამიანები, რომლებმაც გავლენა უნდა იქონიონ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ წინამორბედი და მომდევნო თაობების ბედზეც, ჩვენი, ჩვენი მშობლების, შვილებისა და შვილიშვილების ცხოვრების წესზე, მათ განვითარებაზე, ყოველდღიურობაზე, ჯანმრთელობასა თუ გართობაზე.

წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე სწორედ მათ ეძღვნება. მომავალ თაობას, რომელიც საკუთარი კრეატიულობით ხვალინდელ დღეს ცვლის. ვინ არიან ისინი? ვის ხელშია ჩვენი მომავალი?

ჟურნალ „**IP** საქართველოს“ ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა ქართველ ახალგაზრდებს, რომლებსაც ზუსტად შეეფერებათ 2013 წლის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღის სლოგანი – „კრეატიულობა – მომავალი თაობა“.

In the today's epoch of space probes, nanotechnologies, internet and social networks, in the time where science fiction has become everyday life, the question of what the future holds is still relevant. What will our future be like in one or even ten years from now?

This question has a very strong foundation – the humanity is moving forward fast, changing the environment and creating the new one at a fast pace and intensity, which leads us to believe that yet another innovation that will change lives of each and everyone of us is just around the corner.

It is realistic that a creator of the innovation, revolutionary invention, even an author of the new music genre lives next to us, goes to a neighboring school or a university, has become a friend of us through social network.

Future is created by the next generation, people who will influence the fate of not only theirs but also of their predecessors and future generations, our lifestyle, your lifestyle, lifestyle of our fathers, children, grandchildren, their development, everyday lives, health, entertainment.

World Intellectual Property Day 2013 is dedicated to such people. It is about future generation, who changes tomorrow with their creativity. Who are they? Who holds our future?

The present edition of "IP Georgia" will introduce you exactly those Georgian young inventors to whom the slogan of the World Intellectual Property Day 2013 "Creativity – the next generation" is rightly suited.

# კრეატიულობა მომავალი თაობა

# Creativity *the next generation*



საბა მამუკაშვილი
ქართველი გამომგონებელი
Saba Mamukashvili
Georgian Inventor

26 აპრილი
ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე



ნიკა ნიკვაშვილი
მუსიკოსი
Nika Nikvashvili
Musician



ლაკო ბუკია
დიზაინერი
Lako Bukia
Designer





**April 26**
**World IP Day**
Join us on Facebook

www.wipo.int

# მომავლის ქოლგის ქვეშ

# UNDER THE FUTURE'S UMBRELLA



ლიკა ბერაია
LIKA BERAIA

ნებისმიერი გამოგონება, რომელიც მილიონობით ადამიანის ცხოვრებას უკეთესს ხდის, უკავშირდება იმ კონკრეტული ადამიანის ისტორიას, ვინც სხვისი მიღწევებით არ კმაყოფილდება და საკუთარს, ახალს ქმნის. წყნეთელი საბა მამუკაშვილი ჯერ სკოლის მოსწავლეა და უკვე 5 გამოგონების ავტორია. მისი მთავარი მიზანი მზის ენერგიის ათვისება გახდა, რაზეც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში უკვე აქტიურად მუშაობენ. მას ამბიციური გეგმები აქვს, სურს დააპატენტოს ყველა გამოგონება და მათი წარმოება დაიწყოს. 16 წლის მოსწავლე-გამომგონებელი ამბობს, რომ ბავშვობიდან აინტერესებდა მზის ენერგია და მისი აქტუალურად გამოყენება. 13 წლის იყო, როცა პირველად რაღაც ახლის შექმნაზე დაფიქრდა. საბას საყვარელი ადგილი შთაგონებისთვის საკუთარი სახლი და მზიანი ეზოა. თუმცა, ერთ-ერთი გამოგონების იდეა ზღვაზე დასვენებისას გაუჩნდა, როდესაც პლაჟზე მობილური ტელეფონი დაუჯდა და აუცილებელი ზარი ველარ განახორციელა.

„პლაჟზე დასვენების დროს, როდესაც მობილური ტელეფონი მოულოდნელად დამიჯდა, არ ვიცოდი რა მექნა. ვიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა არსებობდეს მოწყობილობა, რომელიც დამსვენებელს საშუალებას მისცემდა ტელეფონი იქვე, ადგილზე დაემუხტა. ეს შარშან იყო და ამ შემთხვევიდან ორ კვირაში მე გამოგონება უკვე მზად მქონდა.“

Behind every invention that improves lives of millions of people there is a story of an individual who is never satisfied with what others have achieved and creates something new on its own. Saba Mamukashvili from Tskneti is still a pupil, but he is already an author of five inventions. Utilization of solar power is his main goal, which leading countries throughout the world are actively working on. His plans are quite ambitious. He wants to patent all of his inventions and start producing. According to the 16-year-old pupil-inventor, he has been interested in solar power and its actual use since he was a child. At the age of 13, he started thinking about creating something new. His favorite place for inspiration is his home and a sunny backyard; however, the idea of one of his future inventions came to him at the seaside, when suddenly his phone batteries went flat on the beach and he was unable to make a necessary phone call.

**"While resting on the beach my phone batteries suddenly went flat, I didn't know what to do! I thought it would have been great to have a piece of equipment that would allow vacationers to charge their phone batteries right on the spot. This happened last year. After two weeks I already had my invention ready."**

Solar power that reaches the earth every 40 minutes is sufficient to meet all energy supply needs for the period of one year. The earth receives 100 000 000 000 000 kW.h solar power, several thousand times more than total amount of energy produced power stations throughout the world and with the difference that the latter is free. Georgia, with more than 250 days of sunshine each year, has the biggest prospects of using clean and safe alternative energy. The 16-year old

მზის ენერგია, რომელიც დედამიწამდე ყოველი 40 წუთის განმავლობაში აღწევს, საკმარისია იმისათვის, რომ ერთი წლის განმავლობაში დააკმაყოფილოს ყველა ენერგეტიკული მოთხოვნილება. ყოველ საათში დედამიწა იღებს 100 000 000 000 000 კვტ. სთ მზის ენერგიას, რაც რამდენიმე ათასჯერ მეტია, ვიდრე მსოფლიოს ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიათა ჯამი, თანაც იმ განსხვავებით, რომ მზე უფასოა. საქართველოში კი, სადაც მზიანია წელიწადში 250 დღეზე მეტი, ყველაზე სუფთა და უსაფრთხო ალტერნატიული ენერგიის გამოყენების ფართო პერსპექტივა არსებობს. 16 წლის ნიჭიერმა ახალგაზრდამ მზის ენერგიის გამოყენება არც თუ ისე დიდი ხნის წინ გადაწყვიტა. მისი ერთ-ერთი გამოგონებაა „ქოლგა მზის ენერგიის გარდამქმნელი მოწყობილობით“. ახალგაზრდა ნოვატორმა ქოლგა, რომელსაც დამსვენებელი მზისგან თავის დასაცავად იყენებს, გამოგონებად აქცია და მას დამატებითი ფუნქციები შესძინა.

**„ჩემი გამოგონება არის ჩვეულებრივი ქოლგა, რომელზეც მოთავსებულია მზის ელემენტები, პლაჟზე, როდესაც დამსვენებელი ისვენებს, ეს ელემენტები იღებს ენერგიას მზის საშუალებით და ჩვენ შეგვიძლია მზის ენერგიით დავმუხტოთ პლაჟზე მობილური ტელეფონი, ფოტოაპარატი, ვამუშაოთ პატარა LCD ტელევიზორი ან ლეპტოპი. ასევე, შიგნით ქოლგის ღეროში მოთავსებულია აკუმულატორები, რომლებიც ახდენენ**

talented young inventor recently decided to use solar power. **Umbrella with a piece of equipment for converting solar energy** is one of his inventions. He turned an umbrella used by vacationers as a shield from the sun into an invention with additional functions.

**“My invention is an ordinary umbrella with sun batteries placed on it. While relaxing on the beach, these batteries are charged using solar power, allowing us to charge a cell-phone, a photo camera, and run a small LCD television set or laptop on solar power. The stem of the umbrella houses accumulators that store solar power, so that the process of charging does not stop if it gets cloudy for instance, but will continue from stored energy. After the sky clears up, batteries will continue working as usual.**”

The umbrella allows running of a 200V device on the beach, as it has a mechanism attached to it for converting 12V into 220V. You will no longer have to go back to your hotel room to turn on a laptop or a TV. The umbrella also has “LED” lamps attached to it which consume relatively little energy, allowing vacationers to enjoy staying late on the beach. These accumulators use a small amount of energy so that even left without solar power for one or two weeks, batteries will still be working. Saba Mamukashvili has already patented his own invention.

**“I’ve already obtained a patent. Now I am go-**



საბა მამუკაშვილი ჯერ სკოლის მოსწავლეა და უკვე ხუთი გამოგონების ავტორია.

**Saba Mamukashvili is a school student but he is already an author of five inventions.**



როდესაც დამსვენებელი ისვენებს, ელემენტები ენერგიას იღებს მზის საშუალებით და შესაძლებელს ხდის პლაჟზე მობილური ტელეფონის, ფოტოაპარატის ან ლეპტოპის დამუხტვას.

While on the beach, these batteries are charged using solar power, allowing us to charge a cell-phone, a photo camera, or laptop.

**ენერგიის აკუმულირებას. მაგალითად, თუ მოიღრუბლება, ეს დამუხტვა არ შეწყდება და შესაძლებელი იქნება ამ აკუმულატორების ხარჯზე დავმუხტოთ მობილური ტელეფონი. როდესაც ღრუბელი გადავა, ელემენტები ისევ გააგრძელებენ მუშაობას.“**

ასეთი ქოლგით პლაჟზე შესაძლებელია 200 ვოლტზე გათვლილი ტექნიკის მუშაობაც, რადგან მასზე დამონტაჟებულია 12 ვოლტის 220 ვოლტზე გადამყვანი მექანიზმი. მაგალითად, ლეპტოპის ან ტელევიზორის ჩასართავად დამსვენებელს სასტუმროში შესვლა არ დასჭირდება. ქოლგაზე, ასევე, მოთავსებულია LED ნათურები, რომლებიც ძალიან ცოტა ენერგიას მოიხმარს და დამსვენებელს შეუძლია გვიანობამდე ისიამოვნოს პლაჟზე ყოფნით. ეს აკუმულატორები იმდენად ცოტა ენერგიას ხარჯავს, რომ ელემენტი მზის ენერგიის გარეშე 1-2 კვირის განმავლობაშიც კი მუშაობს. საკუთარი გამოგონება საბა მამუკაშვილმა უკვე დააპატენტა.

**„პატენტი უკვე ავიღე და მზად მაქვს. ახლა ვაპირებ შპს-ს გახსნას და ქოლგის წარმოებას. მსურველები უკვე არიან, რამოდენიმეს დავუკავშირდი კიდეც,“** – ამბობს საბა.

მზის ენერგიის ათვისების გარდა, საბა მამუკაშვილი სხვა გამოგონებებზეც მუშაობს. მოსწავლე-გამომგონებელთა საერთაშორისო კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ 2011-2012 წლებში მიღებული აქვს დიპლომები ორი გამოგონებისთვის – „ეკონომეტრი“ და „ექსტრემალური მუხრუჭი“. ასევე, დაჯილდოვებულია თბილისის მერიის 2011 წლის პროექტში „მეცნიერების, გამომგონებლების, ნიჭიერი და კრეატიული ადამიანების ხელშეწყობა“ მონაწილეობისთვის.

**„ეკონომეტრი არის ხელსაყწო, რომელიც გვიჩვენებს ქსელში დატვირთვას. ეს მოწყობილობა მაგრდება სახლის გასასვლელ კარებთან, გასვლის წინ შევხედავთ და**

**ing to open an “LLC” for production of these umbrellas. I already have some potential clients. I am in touch with some of them already.”**

Besides using solar power, Saba Mamukelashvili is also working on other inventions. He participated in an international competition of young inventors Leonardo Da Vinci 2011-2012 and was awarded with diplomas for two inventions – Econometer and Extreme Brakes. He has also been awarded for participation in Tbilisi City Halls project Promotion of Scientists, Inventors, Talented and Creative People 2011.

**“Econometer is a device that shows how much power is consumed. You can install it at home, by the exit door. When you look at it every time you leave your home, you’ll know whether you’ve left something on, meaning that it will help us save electric power, use it rationally and stay safe by not leaving a heater or any other device on.”**

He has already reaped the fruits of his invention by testing Econometer at home and saving 20-25% of electric power used. His another invention – Extreme Brakes – will save drivers from danger.

**“When a car slides on icy road and there is nothing the driver can do, the only way out is one button installed in the car. Pressing this button releases a special board between a tire and the button. The board has a specially designed surface with ridges that allows it to grab on ice and force the car to stop.”**

The young inventor is currently working on a new project – a unique drier that will dry out raw materials four times faster with the use of sunshine.

**“Mirrors on the drier are vertical to the sun, so that when it catches rays of the sun, they will be reflected, directed to a single spot and collected, meaning that with the use of the drier a surface that catches rays of the sun will receive**

**თუ დატვირთვა დიდია ე. ი. სახლში რაღაც დაგვრჩა ჩართული. ეს კი დაგვეხმარება დენის რაციონალურად გამოყენებაში და ეკონომიას გავაკეთებთ, ასევე, დავიცავთ უსაფრთხოებას და ჩართული არ დაგვრჩება გამათბობელი ან სხვა ხელსაწყო.“**

ამბობს, რომ საკუთარი გამოგონების შედეგი თავად უკვე მიიღო. 3 თვის განმავლობაში „ეკონომეტრი“ საკუთარ საცხოვრებელ სახლში გამოსცადა და 20-25% ელექტროენერგიაც დაზოგა. მისი მეორე გამოგონება „ექსტრემალური მუხრუჭი“ კი განკუთვნილია მძღოლების ხიფათისაგან დასაცავად.

**„როდესაც მანქანა ყინულიან გზაზე მოცურდება და მძღოლი უძლურია, ამ შემთხვევაში, გამოსავალი იქნება მანქანაში დამონტაჟებული ღილაკი, რომელზეც დაჭერისას, საბურავსა და ღილაკს შორის ჩამოვა სპეციალური დაფა ხაოიანი ზედაპირით, რომელიც ყინულს მოეჭიდება და ავტომობილს გააჩერებს.“**

მოსწავლე-გამომგონებელი ამჟამად კიდევ ერთ ახალ პროექტზე მუშაობს. ეს არის უნიკალური საშრობი, რომელიც მზის სხივების გამოყენებით 4-ჯერ სწრაფად გააშრობს ადგილზე მოთავსებულ ნედლეულს.

**„საშრობზე სარკეები აწყობილია მზის მართობულად და როდესაც მასზე მზის სხივი დაეცემა, ის აირეკლება, ერთ წერტილში ეცემა და იკრიბება. მაგალითად, როცა რაღაც ადგილს ეცემა მზის სხივი, ამ საშრობის შემთხვევაში, სარკეების არეკვლის დახმარებით, 4-ჯერ მეტ მზის ენერგიას მიიღებს და 4-ჯერ სწრაფად გააშრობს.“**

მზის ენერგიის ეფექტური გამოყენება ახალგაზრდა გამომგონებლის მთავარი სამიზნეა. განახლებადი ენერგორესურსების ათვისება მომდევნო 10 წელიწადში ევროპული ქვეყნების პრიორიტეტია. მზის ენერგიით სახლების გათბობასა და ცხელი წყლით მომარაგებას უკვე აქტიურად მიმართავენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მზის ენერგიის გამოყენება, ძირითადად, მზის წყლის გამაცხელებლების სახით, საქართველოშიც ნელ-ნელა ინერგება. საბა მამუკაშვილის კიდევ ერთი ახალი პროექტი, სწორედ, დანახარჯების გარეშე მზის ენერგიით წყლის გამათბობლების შექმნას გულისხმობს.

**„მე და ჩემი ძმა ვაწყობთ წყლის გამათბობელს. ეს მოწყობილობა, ასევე, მზისკენაა მიმართული, შუაში მოთავსებულია მილი, რომელშიც წყალი გაივლის. როდესაც მზის სხივები ეცემა სარკეს, ის აირეკლავს და მილზე კრებს მათ. წყალი მილში გავლისას იღებს ძალიან დიდ ენერგიას და ცხელდება. თუ ამ მოწყობილობას დავამაგრებთ სახურავზე, დაახლოებითი გამოთვლით ის 10 წუთში 2 ლიტრ წყალს გააცხელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ დღეშიც კი, შეგვიძლია უფასოდ გავაცხელოთ ძალიან დიდი რაოდენობის წყალი.“**

ამბიციურ გამომგონებელს შეჩერება არ სურს. მას უკვე აქვს 5 გამოგონება და კიდევ რამდენიმე იდეა, რომლის რეალიზებასაც უახლოეს მომავალში აპირებს.

**four times more solar power and dry material four times faster.”**

Effective use of solar power is the main target of the young inventor. For the next ten years it is the priority of Europe to use renewable energy resources. Houses are heated and hot water is supplied with the use of solar power in a number of countries. Use of solar power mostly by means of a solar water heating system is gradually introduced in Georgia. Saba Mamukashvili’s new project aims at creating a water heater that runs on free solar power.

**“My brother and I are working on a water heater. The device will be directed towards the sun, with a pope in the middle where water will be running. When its mirror surface catches rays of the sun, it reflects them and directed them towards the pipe, heating the water up with a huge amount of power directed. If we install this device on rooftop, it will heat up around 2 liters of water in ten minutes, meaning that we can heat up a huge amount of water for free even on a daily basis.”**

The ambitious inventor does not intend to stop at what he has achieved so far. He is now author of five inventions and has several other ideas that he plans to realize in the future.



აკუმულატორები იმდენად ცოტა ენერგიას ხარჯავს, რომ ელემენტი მზის ენერგიის გარეშე 1-2 კვირის განმავლობაშიც კი იმუშავებს.

**These accumulators use a small amount of energy so that even left without solar power for one or two weeks, batteries will still be working.**

# გამომგონებლები ჩარჩოების გარეშე

# INVENTORS WITHOUT BORDERS

ზვიად ციკოლია
ZVIAD TSIKOLIA



თუ გაქვს იმის ამბიცია, რომ შენი გამოგონება არა მხოლოდ ერთი ქვეყნის ან რეგიონის, არამედ მსოფლიო მასშტაბით განავრცო, მოტივაცია, ენერგია, საკუთარი თავის რწმენა და, რაც მთავარია, შეუპოვრობაა საჭირო. მხოლოდ ეს მოგცემს საშუალებას გასცდე საზღვრებს და მოიპოვო აღიარება. მასშტაბებმა გამომგონებელი არ უნდა შეაშინოს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ზოგჯერ მხოლოდ საქართველოში მოქმედებისას მეტ პრობლემას აწყდები, ვიდრე მაშინ, როცა დიდი ბაზრების დაპყრობას ცდილობ.

ყველაფერი რაც კი იბადება, უნდა განხორციელდეს და ცხოვრება დაიწყოს. თუ გამოგონება იბადება და მაშინვე კვდება, ეს ხშირ შემთხვევაში ნიშნავს, რომ მას სიცოცხლე არც ეწერა. თუმცა, მიზეზი შეიძლება ქვეყნის განვითარების დონეც იყოს. სახელმწიფოს განვითარება უნდა შეესაბამებოდეს გამოგონების სიახლეს და შესაძლებლობებს. შეიძლება ნანოტექნოლოგიების მიმართულება აირჩიო, გამოგონებაც ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს, მაგრამ ვერ განახორციელო და მოკვდეს. იქ, სადაც მოხსნილია ბიუროკრატიული ბარიერები და გამოგონებებით საწარმოები ინტერესდებიან, წარმატების შანსი მეტია. მაგრამ, ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც აქცენტი უფრო კეთდება პროდუქციის გამოშვებასა და შექმნაზე, ვიდრე მრეწველობაზე და ისეთ სფეროებზე, რომელიც ახალი გამოგონებებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მაგრამ, თუ გამომგონებელი გასცდება

If you have an ambition to present your invention not only at the national but at the regional or international level, you need to have the motivation, energy and self-confidence and most importantly, determination. Only the combination of these traits will make it possible for you to surpass borders and gain recognition. An inventor should not be afraid of distance. I speak from my experience when I say that sometimes you face more problems working in Georgia than when you are trying to gain foothold in large markets.

Every idea conceived must be also realized for it to living. If an invention dies at the very same moment it was born, this means that it was not meant to live. However, it may also be caused by the level of development of the country it was born in. Level of country development must correspond to the novelty of invention and opportunities. You may be working in the field of nanotechnology and conceive an invention that meets all the criteria, but still be unable to realize it, and the invention dies. Chances of success are higher where bureaucratic barriers are removed and industries are interested in inventions but in many countries, including Georgia, more emphasis is made on development and creation of a product rather than on industry and fields that are of vital importance for new inventions.

საზღვრებს, მის ქვეყანაში არსებული პირობები ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება.

რა უნდა გააკეთოს გამომგონებელმა იმისთვის, რომ საზღვრებს გასცდეს? – ერთ-ერთი მთავარი განათლებაა. განათლება სკოლამდე, სკოლის პარალელურად, სკოლის შემდეგ. მე მქონდა იმის ბედნიერება, რომ სკოლამდელ ასაკში დამეწყო ჩემი უნარების განვითარება და სტუდენტობისას ჩემს თანატოლებზე მეტი მცოდნოდა. აქცენტი განვითარებაზე მცირე ასაკიდან უნდა გაკეთდეს. ეს ერთი მხრივ თავად გამომგონებლის, მისი ოჯახის, შემდეგ კი სახელმწიფოს და კერძო სექტორის პრიორიტეტიც უნდა გახდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც უკვე ითქვა, თავად ქვეყნის განვითარებაა. მომავალი ახალ ტექნოლოგიებსა და მეცნიერებას ეკუთვნის. ამას ყველა განვითარებული სახელმწიფო მიხვდა. ხშირად ამბობენ, საქართველო სოფლის მეურნეობის და მიწათმოქმედების ქვეყანააო. ასეც რომ იყოს, ყველა მეურნეობის წარმატება განისაზღვრება ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და მეცნიერების წინსვლით. მეცნიერება შეუზღუდავია, ქვეყნის ინტელექტი – ფასდაუდებელი. ინტელექტს კი ასპარეზი სჭირდება.

თუმცა, რაც უნდა ბევრი ვისაუბროთ გარემო პირობებზე, მთავარი მაინც თავად გამომგონებელია, რომლის მაგივრადაც არავინ არაფერს გააკეთებს. წარმატებისა და წინსვლისთვის, პირველ რიგში, იმის გაცნობიერებაა საჭირო, რომ საკუთარი თავისა და მომავლის პატრონი თავად ხარ, წარმატება მხოლოდ შენ ხელშია. მთავრობას და სახელმწიფოს ერთი ვალდებულება აქვს – ხელი არ შეგიშალოს და იმ გზაზე, რომელიც აირჩიე, დამატებითი ბარიერები არ შეგიქმნას.

გზა კი ძალიან რთულია, დიდი შანსია მოტყუებული დარჩე და იმისთვის, რომ ასე არ მოხდეს, საკუთარი უფლებები უნდა იცოდე. უნდა გარისკო, უნდა ეცადო, ხალხი შეაწუხო, კაბინეტებთან დაიძინო, კონკურენციას, ხშირად შენზე ძლიერ კონკურენტებს გაუმკლავდე და ისიც უნდა გააცნობიერო, რომ შეიძლება პირველ, მეორე ან მესამე ჯერზე წარმატება არ მოვიდეს. ამის მაგალითად ცნობილი ბრიტანული ფირმა „დაისონის" შემქმნელის ისტორიაც გამოდგება. მტვერსასრუტის ახალ დიზაინზე, რომელმაც



ფოტო: shutterstock.com
photo: shutterstock.com

However, if an inventor broadens geographic horizons, he will no longer be affected by conditions that exist in the country.

What should an inventor do to surpass the borders? One of the most important things is education. Pre-school education, education while in school and after finishing school. I was fortunate enough to start developing my skills at a pre-school age and when I was a student I knew much more than my peers did. Development must be emphasized from an early age. It should become a priority for an inventor himself/herself, his/her family and then the state and the private sector.

Another important component that I already mentioned is the level of development of the country itself. Future belongs to new technologies and science. All developed countries have realized this. They often say that Georgia is a country of agriculture. Even so, success of all kinds of farming is determined by new technologies and scientific development. Science has no borders and the national intellect is invaluable and it needs a playground.

No matter how much we talk about environment, an inventor him/herself plays the key role that no one else can play on his/her behalf. In order to succeed and progress, you need to realize that you own yourself and your future, and success is only in your hands. Government and the state have only one obligation – not to get in the way and create additional barriers along the path you have chosen.

It is a difficult road and the chances that you will be cheated are high. Therefore, you must know your rights. You must be willing to take risks and ready to knock on everyone's door, handle competition and competitors that may often be stronger than you are. You



შემდგომ მსოფლიო დაიპყრო, ბრიტანეთსა და ამერიკაში, ლიცენზიის მოპოვებას წლების განმავლობაში ვერ ახერხებდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ხელს კონკურენტები უშლიდნენ. საბოლოოდ მან ეს იაპონიაში შეძლო. განვითარებული ევროპული ქვეყანაა ბრიტანეთი, ინდუსტრიული რევოლუცია იქიდან დაიწყო, მაგრამ, როგორც ხედავთ, სირთულეები და ბარიერები ყველგან არის.

ბარიერი კი ბევრია. ფინანსები, იურიდიული საკითხები, მოტყუების მცდელობა. ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია იცოდე შენი უფლებები და დაიცვა შენი ინტელექტუალური საკუთრება. მე მქონდა შემთხვევა, როცა ერთ-ერთ ფირმას გავუგზავნე პროექტი. მითხრეს, რომ თუ მოეწონებოდათ, დამიკავშირდებოდნენ, მაგრამ ისე ჩაუშვეს წარმოებაში, რომ ამის შესახებ პოსტფაქტუმ გავიგე. მაშინ გამოუცდელი ვიყავი და არ მქონდა მოგვარებული იურიდიული საკითხები, ამ ფირმასთან მიმოწერაც კი არ შემინახავს. მნიშვნელოვანი თანხები დავკარგე, მაგრამ გაკვეთილიც მივიღე როგორ უნდა მემოქმედა მომავალში.

მე რომ მკითხონ თუ რა არის წარმატების ფორმულა, ვუპასუხებდი, რომ მთავარი ბერკეტი, მთავარი კოზირი ყოველთვის შენს ხელში უნდა იყოს. კარტების ბოლომდე გახსნა არ შეიძლება. უნდა გქონდეს უპირატესობა იმისთვის, რომ მოგებული დარჩე. და, რაც მთავარია, აზროვნება და მოქმედება ჩარჩოების გარეშე.

should also realize that you may have to try not just once but twice and three times before you succeed.

Let's consider an example of famous British company "Dyson" and its founder, who was not able to get the license for years for a new design of a vacuum cleaner in the US and in Great Britain that later conquered the world. He was hindered by his competitors. Eventually he was able to get the license in Japan. Great Britain is a developed European country and a birthplace of industrial revolution, but apparently, difficulties are barriers that can be anywhere.

IN ORDER TO SUCCEED AND PROGRESS, YOU NEED TO REALIZE THAT YOU OWN YOURSELF AND YOUR FUTURE, AND SUCCESS IS ONLY IN YOUR HANDS. GOVERNMENT AND THE STATE HAVE ONLY ONE OBLIGATION – NOT TO GET IN THE WAY AND CREATE ADDITIONAL BARRIERS ALONG THE PATH YOU HAVE CHOSEN.

And there are a lot of barriers – finances, legal issues, attempts of fraud. In times like this it is important for you to know your rights and protect your intellectual property. Once I sent my project to one of the companies, who said, they would get in touch with me if they liked the project. They started manufacturing the product without letting me know. I learned about it post-factum. I lacked experience at that time and had not taken care of all legal matters. I did not even keep correspondence that I exchanged with the company. I lost a lot of money but I also learned a lesson.

If you ask me what the recipe for success is, I'll answer that it should always be the one holding the key leverage, the ace, and you should never show your hand completely. You must keep an advantage to be the winner. And most importantly, you must think and act without borders.

# საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი

# TECHNOLOGY TRANSFER CENTER OF GEORGIA

## ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვები ტექნოლოგიების გადაცემის შესახებ

## FAQ - FREQUENTLY ASKED QUESTIONS ABOUT TECHNOLOGY TRANSFER

### 1. რა არის ტექნოლოგიების გადაცემა?

ტექნოლოგიების გადაცემა არის ცოდნის, გამოგონებისა და ინოვაციის გადაცემა მისი შემდგომი განვითარებისა და კომერციალიზაციის მიზნით. ეს პროცესი, როგორც წესი, მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

- ახალი ტექნოლოგიის იდენტიფიცირებას;
- ტექნოლოგიის დაცვას (პატენტი, საავტორო უფლებები);
- განვითარებისა და კომერციალიზაციის სტრატეგიის ფორმირებას მარკეტინგთან და ლიცენზირებასთან დაკავშირებით, რათა მოხდეს ტექნოლოგიის გადაცემა ბიზნესისთვის ან ახალი კომპანიების შექმნა ახალ ტექნოლოგიაზე დაყრდნობით.

### 2. როდის და რა ფორმით შეიქმნა საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, ვინ არიან დამფუძნებლები?

საქართველოში პირველად, 2012 წლის თებერვალში საქპატენტში შეიქმნა დეპარტამენტი

### 1. What does technology transfer mean?

Technology transfer means transfer of knowledge, invention and innovation for its further development and commercialization. The process usually entails the following several stages:

- Identification of new technology;
- Protection of technology: (patent and copyrights);
- Formation of strategy for development and commercialization, marketing and licensing, in order to transfer technology to an existing company or set up new companies based on the new technology.

### 2. What and how was the Technology Transfer Center of Georgia (TTCG) formed and who are its founders?

For the first time in Georgia in February 2012 Sakpatenti established a department for transfer of technologies and innovation. From



ფოტო: shutterstock.com
photo: shutterstock.com

ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის მიზნით. შექმნის მომენტიდანვე ამ დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო საზოგადოების და უფლების მფლობელების ინფორმირება ტექნოლოგიების გადაცემის შესახებ, რადგან იმისათვის, რომ კომერციალიზაცია წარმატებით განხორციელდეს, მნიშვნელოვანია ამ პროცესის სწორად წარმართვა. დეპარტამენტმა დაარსებისთანავე დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა სამეცნიერო და ბიზნეს სექტორთან და დაინტერესებულ პირებთან. 2012 წლის სექტემბერში დაარსდა საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი (TTCG) როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ყველა დაინტერესებულ სექტორს. ორგანიზაციის მიზანია ბიზნესისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა და მხარდაჭერა, აგრეთვე, ახალ ტექნოლოგიებზე მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა და ამით მათი ეფექტიანობის გაუმჯობესება. ამავდროულად, ცენტრი აქტიურად ემსახურება გამომგონებლებს, უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს არსებული ტექნოლოგიებისა და გამოგონებების კომერციალიზაციასა და ბიზნესში დანერგვაში.

the day it was established, one of the key functions of the department is to raise public and rights holders awareness in general in transfer of technologies, as due administration of the process is crucial for successful commercialization. Right after it was created, the department established close ties with scientific and business sector as well as other interested individuals and in September 2012 Technology Transfer Center of Georgia (TTCG) was established as an independent organization, unifying all interested sectors. Purpose of the organization is to provide technical support to business, improve their access to new technologies and improve their effectiveness. At the same time the TTCG is also providing service to inventors, universities and research organizations for commercialization of the existing technologies and inventions, i.e. introducing them to business.

Founders of the TTCG are representatives of state, business/research and scientific organizations, including Sakpatenti. Active supporters and partners of the TTCG are the following international organizations:

საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის დამფუძნებლები არიან სახელმწიფო, ბიზნესი და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, მათ შორის საქპატენტი. ცენტრის აქტიური მხარდამჭერები და პარტნიორები არიან ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა:

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);
- კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP);
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO);
- ევროპის საპატენტო ოფისი (EPO).

## 3. რა მიმდინარე პროექტებია საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრში?

საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის მიზანია საქართველოში ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარების ხელშეწყობა, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სტიმულირება. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, გამართა კონკურსი „INNO|GEORGIA“. კონკურსი მიზნად ისახავდა იმ მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საშუალებით, შეძლებენ წარმადობის ამაღლებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში, საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრმა გამოავლინა 5 გამარჯვებული კომპანია, რომლებსაც აღმოუჩინა ფინანსური და ტექნიკური დახმარება თავიანთი პროექტების ეფექტიანი დანერგვის პროცესში. აღსანიშნავია, რომ დღეს გამარჯვებული პროექტები უკვე წარმატებით ხორციელდება.

## 4. კონკრეტულად რა ტიპის მომსახურებას ახორციელებს საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი?

საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი ბიზნესსა და გამომგონებლებს სთავაზობს ინდივიდუალურად მორგებულ სერვისებს.

**გამომგონებლებისათვის გათვალისწინებულია:**

- გამოგონებათა წინასწარი ანალიზი და მათი კომერციალიზაციის პერსპექტივების განსაზღვრა;
- დახმარების გაწევა ბიზნეს გეგმის მომზადებაში;

- German International Cooperation (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit - GIZ);
- Commercial Law Development Program (CLDP);
- World Intellectual Property Organization (WIPO);
- European Patent Office (EPO).

## 3. What are some of the ongoing projects at the TTCG?

Goal of the TTCG is to promote national innovative systems in Georgia, stimulate technologies and innovations. To this end, the TTCG with support of the GIZ held a competition „Inno|Georgia“. Goal of „Inno|Georgia" was to support small and medium businesses that will be able to boost their success by introducing new technologies at local or international markets. The TTCG announced five winners of the competition to which it provided financial and technical assistance for effective implementation of their projects. Winning projects are now realized successfully.

## 4. What type of services does the TTCG provide?

The TTCG offers the following types of services tailored to individual needs of businesses and inventors:

**Inventors:**

- Preliminary analysis of inventions and determination of prospects of their commercialization;
- Providing assistance in preparing a business plan;
- Networking with local research and development organizations;
- Finding prospective business partners and helping establish part ships with them;
- Conducting negotiations and preparing licensing agreements;
- Providing consultations in the field of IP through experts.

**Businesses**:

- Technological audit;
- Estimation of prospects for technological improvement of an enterprise;

- კონტაქტების დამყარება ადგილობრივ კვლევით ორგანიზაციებთან (R & D);
- დახმარების გაწევა ბიზნეს პარტნიორების მოძიებასა და მათთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარებაში;
- მოლაპარაკებების წარმართვა და სალიცენზიო ხელშეკრულებების მომზადება;
- კონსულტაციები ინტელექტუალური საკუთრების სფეროს ექსპერტებთან.

**ბიზნესისათვის გათვალისწინებულია:**

- ტექნოლოგიური აუდიტი – საწარმოს შესაძლო ტექნოლოგიური გაუმჯობესების შეფასება;
- ტექნოლოგიური მორგება – მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა შესაბამისი ტექნოლოგიების მომწოდებლებთან დაკავშირება;
- ტექნიკური მხარდაჭერა – ნოუ-ჰაუს გადაცემის პროცესის ორგანიზება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო საპატენტო ბაზებთან წვდომის უზრუნველყოფა და კონკრეტულ პატენტებთან დაკავშირებული კონსულტაცია;
- დახმარება ტექნოლოგიების მომწოდებლებთან მოლაპარაკებების წარმართვასა და სალიცენზიო ხელშეკრულებების მომზადებაში;
- ტექნოლოგიების განვითარების პოპულარიზაციის მიზნით, სემინარებისა და ტრეინინგების ორგანიზება.

## 5. როგორ ხდება ინფორმაციისა და გამოგონების დაცვა საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრში?

საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი მეცნიერებისა და გამომგონებლების წინაშე იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალების შესრულების პერიოდში და მისი დასრულების შემდეგ, ინფორმაციის უსაფრთხოებაზე და აფორმებს კონფიდენციალურობის ხელშეკრულებას.

ხოლო, რაც შეეხება ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ცენტრი უზრუნველყოფს კონსულტაციებს, დაცვის მექანიზმების განსაზღვრასა და დაგეგმვას.

- Technological matchmaking between providers of new technologies and micro, small and medium enterprises;
- Technical support: facilitation of technology transfer and know-how;
- Ensuring access to national and international patent markets and providing consultations about individual patents;
- Conducting negotiations with providers of technology and providing assistance in the process of preparing a licensing agreement
- Organizing workshops and trainings for the promotion of development of technologies.

## 5. How is information and invention protected at the TTCG?

The TTCG undertakes an obligation before scientists and inventors in a term of and after completing assignment envisaged by an agreement, to ensure safety of information through confidentiality agreement with client.

As to protection of intellectual property, the TTCG provides consultations, determines and plans mechanisms for protection.

## 6. How are royalties determined and distributed after a successful commercialization and licensing of invention?

In view of common international practice and the situation in Georgia, the TTCG initially refused to practice a unified approach. Issues related to licensing and royalties are determined on a case by case basis in view of all circumstances involved, market demands and the volume of agreement.

## 7. How to contact the TTCG?

Any interested individual may visit the office of TTCG located at 31 Ramishvili Str., 0179, Tbilisi, Georgia, or at www.ttcg.ge.

TTCG staff is available online at info@ttcg.ge. You may also reach them by phone: (+995 32) 2 252 532.



ფოტო: shutterstock.com
photo: shutterstock.com

### 6. გამოგონების წარმატებული კომერციალიზაციისა და ლიცენზირების შემთხვევაში, როგორ ხდება ჰონორარების განსაზღვრა და განაწილება?

საერთაშორისო გამოცდილებისა და საქართველოში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრმა, საწყის ეტაპზე, უარი თქვა ერთიანი პრაქტიკის დანერგვაზე და ლიცენზირებისა და ჰონორარების საკითხს წყვეტს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა გარემოების გათვალისწინებით, ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და ხელშეკრულების მოცულობის შესაბამისად.

### 7. როგორ მივმართოთ საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრს?

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია უშუალოდ მიმართოს საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრს მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0179 ნინო რამიშვილის ქ. 31 ან ვებგვერდის საშუალებით: www.ttcg.ge.
ცენტრის თანამშრომლებთან დაკავშირება შესაძლებელია, ასევე, ონლაინრეჟიმში ელექტრონულ მისამართზეც: info@ttcg.ge ან ტელეფონის ნომერზე: (+995 32) 2 252 532.

დიზაინი
DESIGN

# ლაკო ბუკია – სტილი და ინოვაცია

# LAKO BUKIA – STYLE & INNOVATION

ლიკა ბერაია
LIKA BERAIA


ფოტო: ლუკას სტეიდენფადენი
photo: Lucas Steidenfaden

ლაკო ბუკია უკვე 9 წელია ლონდონში ცხოვრობს. თბილისში დაიბადა, თუმცა, ის გაცილებით ცნობილი სწორედ ბრიტანეთის დედაქალაქშია. საკუთარი გამორჩეული სტილით, მიზანდასახულობითა და ბევრი შრომით 25 წლის ქართველმა დიზაინერმა მსოფლიო მოდის სამყაროში ადგილის დამკვიდრება უკვე შეძლო.

ლაკო ბუკია პირველი ქართველი დიზაინერია, რომელმაც საქართველოს სახელით ლონდონის მოდის კვირეულში ოფიციალურად გამართა ჩვენება. საქართველოში კი მოდის არც ერთი კვირეული არ ტარდება მისი ახალი კოლექციის გარეშე. კარიერაში წინსვლა 2004 წელს დაიწყო, როცა ლონდონში პრესტიჟულ სასწავლებელში „Central Saint Martin`s“-ის ხელოვნების უნივერსიტეტში ჩააბარა. შემდეგ იყო: კიევის ახალგაზრდა დიზაინერების კონკურსი – მესამე ადგილი, „Georgian Fashion week“-ის ორი სეზონი, „London Fashion Week“-ის 4 სეზონი, „Paris Fashion week“-ის შოურუმი, 3 სეზონი, „Berlin Fashion week“-ის შოურუმი, „Mercedes-Benz Kiev Fashion days“ ჩვენება, „Tbilisi Fashion Week“ და, ასევე, სხვადასხვა პერსონალური გამოფენა და ჩვენება.

დიზაინერობა შემთხვევით გადაწყვიტა. 15 წლის იყო, როცა მეგობარმა ურჩია ხატვა დაეწყო. შემდეგ ჩააბარა სამხატვრო აკადემიაში, მოხატვის ფაკულტეტზე.

**„ლონდონში წასვლამდე ვერ გავაცნობიერე რა იყო დიზაინერობა, მანამდე, ალბათ, უფრო მხატვარი ვიყავი, ვიდრე დიზაინერი. ლონდონში მივხვდი, რომ მოდელების შექმნა ზუსტად ის იყო, რისი კეთებაც მინდოდა.“**

ლონდონში გამგზავრება სამხატვრო აკადემიის მეორე

Lako Bukia has been living in London for nine years now. Although born in Tbilisi, she is much more famous in the capital of Great Britain than she is in her hometown. The 25-year old Georgian designer has a distinctive style, she is purpose driven and hardworking, the combination of traits that has earned her a well-deserved place in the world of fashion.

Lako Bukia is the first Georgian designer that had an official runway show during the London Fashion Week as a participant from Georgia. Fashion weeks in Georgia always feature her new collection. She embarked on her path success in 2004 when she was admitted to a prestigious school in London, Central Saint Martin’s College, followed by competition for young designers where Lako Bukia was awarded the third place, two seasons of Georgian Fashion Week, four seasons of London Fashion Week, showrooms during three seasons of Paris Fashion Week, showroom during Berlin Fashion Week, a runway show during Mercedes-Benz Kiev Fashion Days, Tbilisi Fashion Week, various personal exhibitions and runway shows.

She decided to become a designer by chance. At the age of 15, one of her friends advised her to start drawing. She was admitted to an art school, department of painting.

**“I did not realize what it meant to be a designer before I left for London. Before that I was more like a painter than a designer. In London I realized that designing models was**

კურსის სტუდენტმა გადაწყვიტა. ჩააბარა „Central Saint Martin`s“-ის უნივერსიტეტის ერთწლიან მოსამზადებელ კურსზე, შემდეგ კი სწავლა განაგრძო „London College of Fashion“-ის ბაკალავრიატში ქალის ტანსაცმლის დიზაინზე. პარალელურად სწავლობდა სამხატვრო აკა-დემიაშიც, რომლის დამთავრების შემდეგაც მიიწვიეს კიევის ახალგაზრდა დიზაინერების კონკურსზე. ამავე პერიოდში ლაკო ბუკიამ მოახერხა სტაჟირება გაევლო სტილისტ კეიტი ბარნეტთან (Katie Burnet). სამთვიანი პრაქტიკის შემდეგ კი უკვე საკუთარი ხაზი გამოუშვა და ლონდონში სხვადასხვა კომპანიასთან პირველი კონტრაქტებიც გააფორმა.

სწავლობდა და პარალელურად საკუთარ კოლექციებს ქმნიდა. „Mushroom“ – ეს იყო კოლექცია, რომელიც სამხატვრო აკადემიის დიპლომისთვის შექმნა და მისი წარმატების საწინდარი გახდა.

**„ეს კოლექცია გამოფენილი იყო სენტ მარტინის (Centrail Saint Martin's) მთავარ საგამოფენო დარბაზში ერთი კვირის განმავლობაში. შემდეგ ამას მოჰ-ყვა 2009 წელს ჩემი პერსონალური ჩვენება თბილისში, „Night office“-ში, სადაც, წარვადგინე კოლექცია „ემოციები“ (Emotions). შემდგომ კი ეს კოლექცია ლონდონში წავიღე და იქ რამდენიმე ჩვენება მოვაწყვე. ამავე წელს დავამთავრე ლონდონის მოდის კოლეჯი**

**exactly what I wanted to do.”**

She was in her sophomore year in art school when she decided to leave for London. She was admitted to the Central Saint Martin's College for a year-long preparatory course, after which she was admitted to London College of Fashion for BA Studies majoring in women's wear. She also continued her studies at the Academy of Arts. Upon graduation she was invited to participate in a competition for young designers in Kiev. She secured an internship with stylist Katie Burnet and after interning for her for three months she produced her own clothing line and signed her first contract with various companies in London.

While being a student she was working on her clothing collections. "Mushroom" was her first collection that she created for her graduate diploma from the Academy of Arts, which paved way for her success.

**“The collection was displayed in the Central Saint Martin's main exhibition hall for a week, followed by my personal runway show in Night Office in Tbilisi in 2009, where I presented my collection "Emotions". I took this collection to London and had several shows there. I graduated from the London College of Fashion the same year, for which I created my next**



ფოტო: ნიკო დიზელი. გაზაფხული-ზაფხული, 2012
**photo: Nyco Dyszel. Spring-Summer, 2012**

(London College of Fashion), **რომლისთვისაც შევქმენი კოლექცია „კუბ-არტი“. მან „Georgian Fashion Week“-ზე დიდი მოწონება დაიმსახურა და ამ კოლექციითვე მოვხვდი ბერლინის მოდის კვირეულზე „Berlin Fashion Week“-ზე, სადაც „კუბ-არტი“ ნახეს ლონდონის მოდის კვირეულის ორგანიზატორებმა და შემომთავაზეს ჩვენებაში მონაწილეობა. ამის შემდეგ 4 სეზონი ვიყავი ლონდონის მოდის კვირეულის მონაწილე, ასევე, მქონდა შოურუმები პარიზის მოდის კვირეულის დროს.“**

„ლაკო ბუკია“ საქართველოში ბევრ ცნობილ ადამიანს აცვია. კლიენტებიდან დიზაინერი ქეთი მელუას გამოარჩევს, რომლისთვისაც საქორწინო ფეხსაცმელი შექმნა, მის ექვს მეჯვარეს კი კაბები შეუკერა.

**„ჩემი სტილი, ალბათ, ყველასგან განსხვავებულია და ყოველთვის გამოარჩევ. ძალიან მიყვარს უხეში და ჰაეროვანი ქსოვილების შერწყმა, მაგალითად, ტყავი და შიფონი. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ ჩემი ქალი უნდა იყოს ძლიერი და განსხვავებული.“**

ლაკო ბუკიას ბრენდი დიდი ხანია იყიდება ლონდონის სხვადასხვა მაღაზიებში, შარშან ზაფხულიდან კი მისი

**collection “Cube-Art” acclaimed during the Georgian Fashion Week. I showed the same collection during Berlin Fashion Week where I was offered to participate in the London Fashion Week by its organizers. I had shows during four seasons of the LFW; I also had showrooms during the Paris Fashion Week.”**

Many famous people in Georgia are wearing Lako Bukia; however, the designer’s favorite client is Keti Melua for whom she created wedding shoes and dresses for her six bridesmaids.

**“My style is probably the most distinctive of all. I love the combination of rough and soft fabrics – leather and chiffon, for instance. I always say that a woman must be strong and different.”**

Various shops in London carry Lako Bukia’s line. In summer 2012 her clothing also became available in Georgia, after her first studio was opened at Paliashvili Street in Tbilisi, which also carries young designers from around the world.

Lako Bukia is set to become famous in the USA too. Several months ago she was admitted to the





ფოტო: საიმონ არმსტრონგი. „ჩოხა“, შემოდგომა-ზამთარი, 2011-2012
photo: Simon Armstrong. “Chokha”, Autumn-Winter, 2011-2012

შეძენა საქართველოშიც გახდა შესაძლებელი. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მისი პირველი სტუდია გაიხსნა, სადაც ლაკოსთან ერთად მსოფლიოს ახალგაზრდა დიზაინერების ნამუშევრებიც არის წარმოდგენილი.

ლაკო ბუკიას ახლა უკვე ამერიკაშიც გაიცნობენ. რამდენიმე თვეა მოდის სამყაროში ცნობილ პარსონის დიზაინის სკოლაში მაგისტრატურის ორწლიან კურსზე სწავლობს.

**„ძალიან გამიმართლა, რომ მიმიღეს, რადგან სულ 15 მოსწავლეა და გვაქვს საშუალება შევხვდეთ დიდ დიზაინერებს.“**

საყვარელი ადგილი შთაგონებისთვის ახლა ნიუ-იორკის ბინაა, რომელიც ისე მოაწყო, როგორც თავად სურდა. ამბობს, რომ სკოლაშიც, სადაც სწავლობს არაჩვეულებრივი გარემოა ინსპირაციის მისაღებად. როდესაც კოლექციაზე მუშაობს, მომხმარებლების სიაში იმ ცნობილ სახეებსაც წარმოიდგენს, ვის ნახვასაც მის კაბებში ისურვებდა.

**„ძალიან ბევრია ადამიანი, ვისაც ვისურვებდი რომ ჩავაცვა. ჩემთვის სილამაზე ისაზღვრება ინტელექტით**

famous Parsons New School of Design for a two-year long MA program.

**"I was very lucky to be admitted as there are total of 15 students and we have opportunities to meet with great designers."**

Her favorite place for inspiration is her apartment in New York which she herself decorated. She also finds the environment at Parsons very inspiring. When working on a collection, she imagines famous people she would love to dress.

**"There are many people who I'd just love to dress. I define beauty with intellect and inner charm rather than with appearance. I would love to see Kate Blanchet, Tilda Swinton and Kate Winslet wearing my clothes."**

All photos of her collection were published in Vogue magazine. Her designs usually receive a positive feedback; however, she also attaches great importance to criticism.

**"My collections received a lot of positive feedback in London, which inspired me to do much more. There was certainly some criticism**







შემოდგომა-ზამთარი, 2011 ლუქ-ბუქი
Autumn-Winter, 2011 Look Book

**და შინაგანი შარმით და არა გარეგნულით. ალბათ ვისურვებდი, რომ მენახა კეიტ ბლანშეტი, ტილდა სუინტონი, კეიტ უინსლეტი ჩემს სამოსში.“**

წარმატება იყო, როცა მისი კოლექციის ყველა ფოტო ჟურნალ „Vogue“-ში გამოქვეყნდა. მის ნამუშევრებს, როგორც წესი, კარგი გამოხმაურება აქვს, თუმცა, დიზაინერისთვის კრიტიკაც მნიშვნელოვანია.

**„ლონდონში ჩემს კოლექციებს ბევრი კარგი შეფასება ჰქონდა, რომლის შემდეგ უფრო და უფრო მეტის გაკეთება მინდებოდა. რა თქმა უნდა, იყო კრიტიკაც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, დადებითი მეტი იყო, ვიდრე უარყოფითი. ალბათ მოსწონდათ განსხვავებული ხედვა და დახვეწილობა, რომელიც, ჩემი ასაკის გამო, წარმოუდგენლად მიაჩნდათ. „ვოგის“ გვერდებზე ლონდონში ყველა ჩემი ჩვენება მოხვდა, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ. ყველაზე კრიტიკულად ჩემ ნამუშევარს, ალბათ, მე თვითონ ვუდგები. ჩვენება არ არის ხოლმე დამთავრებული, რომ უკვე ვფიქრობ რა უნდა**

**as well but ultimately the positive outweighed the negative. I guess they liked my different vision and refined style, which they thought I was too young for. Vogue featured all of my shows in London, which I was very happy about. I think I am the biggest critic of my designs. My show is hardly over as I start thinking about what needs to be improved and further worked on. This is probably what helped me achieve the success that I have now."**

Now that Lako Bukia is a famous brand, she has the luxury to create herself every single detail featured in her collections. Even before, she was never willing to have any accessories created by others in her collections.

**"To tell you the truth, I was initially designing only clothes. Shoes were just an additional detail that I needed to get the whole picture. I didn't want to have shoes created by someone else featured in my show. To me, a collection is complete if it belongs to you completely. Let's just say that shoes are what made me famous in London."**

She has no difficulty managing and promoting her brand abroad. Everyone knows of her Georgian origins; however, she was featured in Mercedes-Benz Fashion Week as a British Designer.

**"Generally in England they see me as a British designer as this is where I created my brand and started working. Furthermore, the British Embassy provides financial assistance to me. They have a completely different working regime here, different rhythm and level of labor. For a Georgian designer to make a name for herself abroad, she should be willing to completely change the regime and style that she was used to before. She must be willing to intern, be more modest and learn more. I believe that Georgian people are very talented and particularly when it comes to art. We have many amazing painters. We have a great sense of color, which helps designers a lot. It's just that everyone is in rush to become a designer. You can't define a design by a single item created; rather, a good design is defined by innovation and constant novelty. You need to work hard to be popular and in demand on fashion market every season. Even some high fashion designers are unable to do that. I don't approve of rushing into opening fashion houses in Georgia and trying to establish their names as designers immediately".**

She believes that Georgian fashion has a bright



ფოტო: საიმონ არმსტრონგი. „ჩოხა“, შემოდგომა-ზამთარი, 2011-2012
photo: Simon Armstrong. “Chokha”, Autumn-Winter, 2011-2012





**გამომესწორებინა და რა უნდა გავაკეთო უკეთესად. ალბათ, ეს დამეხმარა იმ წარმატებაში, რაც დღეს მაქვს.“**

დღეს, როცა „ლაკო ბუკია“ უკვე ცნობილი ბრენდია, აქვს ფუფუნება, რომ საკუთარ კოლექციაში ყველა დეტალი თავად შექმნას. თუმცა, არც ადრე სურდა მისი რომელიმე კოლექციის წარმოდგენისას იქ უცხო დეტალი მოხვედრილიყო.

**„სიმართლე რომ გითხრათ, თავიდან ტანსაცმელს ვქმნიდი, ფეხსაცმელი უბრალოდ დამატებითი დეტალი იყო, რომელიც მთლიან სურათს სჭირდება. ჩვენებაზე სხვისი ფეხსაცმლით გამოსვლა არ მინდოდა. ჩემთვის კოლექცია დასრულებულია მაშინ, როცა მთლიანად ჩემია. ლონდონში, ასე ვთქვათ, სახელი მაინც უფრო ფეხსაცმლით გავითქვი.“**

საზღვარგარეთ საკუთარი ბრენდის მართვა და პოპულარიზაცია არ უჭირს. ყველამ იცის, რომ ის future ahead and thinks that she is doing everything in her power to establish her brand in Georgia.

**"I don't regret anything in my professional work as I am doing maximum of my abilities to learn as much as I can and achieve a lot. I don't miss any chances. I don't have time for anything else. The only thing that I probably regret is that because of my love for what I do, I've spent more time working than with friends and family. Also, like a typical Georgian I rushed a little and opened my own brand instead of using the time to work at fashion houses to get more experience, but I am going to work on that now. Probably I should have done all this to take such a decision."**

She wants to establish her brand and work independently. She does not have any favorite designers but she likes some more than others.

**"I love different things about different designers but I like Japanese designers most and "Viktor & Rolf" who are very innovative,**





ფოტო: საიმონ არმსტრონგი. „გატეხილი სარკეები“, შემოდგომა-ზამთარი, 2012-2013
photo: Simon Armstrong. "Broken Mirrors", Autumn-Winter, 2012-2013

ქართველია, თუმცა, „მერსედეს-ბენცის“ მოდის კვირეულში მონაწილეობა მიიღო, როგორც ბრიტანელმა დიზაინერმა.

**„საერთოდ მე ბრიტანელ დიზაინერად ვითვლები ინგლისში, რადგან იქ ჩამოვაყალიბე ჩემი ბრენდი და იქ ვმოღვაწეობდი. ასევე, ჩემს ფინანსურ დახმარებას უზრუნველყოფს ბრიტანეთის საელჩო. აქ მუშაობის სხვა რეჟიმი, სხვა რიტმი და სხვა შრომის დონეა. იმისთვის, რომ ქართველმა დიზაინერმა თავი დაიმკვიდროს საზღვარგარეთ, ალბათ რეჟიმი და სტილი მთლიანად უნდა შეცვალოს. ასევე, გაიაროს პრაქტიკა, იყოს უფრო თავმდაბალი და ისწავლოს ბევრი. მიმაჩნია, რომ ქართველი ხალხი საკმაოდ ნიჭიერია განსაკუთრებით ხელოვნებაში. ამდენი არაჩვეულებრივი მხატვარი გვყავს, ფერის აღქმის უნარიც გვაქვს, რაც ძალიან გვეხმარება დიზაინერებს. ვთვლი, რომ უბრალოდ ყველა ძალიან ჩქარობს დიზაინერობას. ერთი რაღაცის შექმნით არ განისაზღვრება დიზაინერი, კარგი დიზაინერი ფასდება ინოვაციითა და მუდმივი სიახლით. მოდის ბაზარზე ყოველ სეზონზე პოპულარული და მოთხოვნადი რომ იყო, ამას ძალიან ბევრი შრომა სჭირდება. ამას მაღალი მოდის სახლებიც კი ვერ აღწევენ. ამიტომ მიმაჩნია, რომ ცოტა ადრეა ყველასთვის მოდის სახლების გახსნა საქართველოში და პირდაპირ დიზაინერად დამკვიდრება.“**

**refreshing and interesting.**

**I try to use new things in my collections – whether a technique or a fabric. In my latest collection I introduced fish skin. It wasn't an innovation but it was certainly something new for my company."**

"Olobylako" is a relatively new line designed by Lako Bukia, targeting young consumers with a low price-range. She does not remember first order that she received but she remembers that a shirt was the first garment she saw by hand in London in her freshmen year. She views it as her very first personal work. She has some plans for the nearest future but she is not in a hurry.

**"I recently started working on a very interesting project with very interesting people. I can't disclose any more details but I promise that you'll learn soon about it."**



ქართული მოდის წარმატებული მომავლის სჯერა და თვლის, რომ საქართველოში ბრენდის „ლაკო ბუკია" დასამკვიდრებლად ყველაფერს აკეთებს.

**„პროფესიულ საქმიანობაში გული არაფერზე მწყდება, რადგან ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ვისწავლო და ბევრს მივაღწიო. ყველა შანსს ვიყენებ. სხვა არაფრისთვის დრო აღარ მრჩება. ერთადერთი, ალბათ, რაზეც გული მწყდება ის არის, რომ ჩემი საქმის სიყვარულის გამო, ჩემ ოჯახთან თუ მეგობრებთან ყოფნის დრო დავკარგე და უფრო მეტი დავუთმე საქმეს. ასევე, ალბათ ისიც, რომ ცოტა ვიჩქარე, როგორც ქართველებს სჩვევიათ და პირდაპირ ჩემი ბრენდი გავხსენი, არ გამოვიყენე დრო, რომ მემუშავა მოდის სახლებში და უფრო მეტი გამოცდილება მიმეღო, მაგრამ ახლა ვასწორებ ამ შეცდომას. ალბათ, ეს ყველაფერი უნდა გამეკეთებინა, რომ ამ გადაწყვეტილებამდე მივსულიყავი."**

მისი სურვილია საკუთარი ბრენდი დაამკვიდროს და დამოუკიდებლად იმუშაოს. ფავორიტი დიზაინერი არ ჰყავს, მაგრამ რამდენიმეს მაინც გამოარჩევს.

**„სხვადასხვა დიზაინერში სხვადასხვა რამ მომწონს, მაგრამ გამოვარჩევდი იაპონელ დიზაინერებს და „ვიქტორ & როლფს"** (Viktor & Rolf)**, რომლის მოდის სახლი ძალიან ინოვაციური, ახალი და საინტერესოა.**

**ყველა კოლექციაში ვცდილობ ახალი რამ გამოვიყენო, ახალი ტექნიკა თუ ქსოვილი. ალბათ, ბოლო კოლექციაში, სადაც თევზის ტყავი შემოვიტანე, იყო ჩემი კომპანიის რაღაც სიახლე, ვერ ვიტყოდი ინოვაცია."**

„OLOBYLAKO" – ეს კი ახალი ხაზია, შედარებით უფრო ახალგაზრდული და დაბალფასიანი, რომელსაც, დღესდღეობით, ლაკო ბუკია უშვებს. პირველი შეკვეთა არ ახსოვს, თუმცა იხსენებს, რომ ლონდონში პირველ კურსზე სწავლისას საკუთარი ხელით პირველად შეკერა პერანგი. თვლის, რომ ეს იყო მისი პერსონალური პირველი ნამუშევარი. უახლოესი გეგმებიც გაწერილი აქვს, მაგრამ არ ჩქარობს.

**„სულ ახლახან დავიწყე მუშაობა ძალიან საინტერესო პროექტზე, ძალიან საინტერესო ხალხთან ერთად. სამწუხაროდ, ამაზე ლაპარაკი ჯერ არ შემიძლია, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ მალე გაიგებთ...".**



ფოტო: საიმონ არმსტრონგი. „გატეხილი სარკეები“, შემოდგომა-ზამთარი, 2012-2013
photo: Simon Armstrong. “Broken Mirrors”, Autumn-Winter, 2012-2013



# საქართველო – ღვინის აკვანი ქვევრი – კულტურული მემკვიდრეობა

# GEORGIA – CRADLE OF WINE QVEVRI – CULTURAL HERITAGE

ელისო ჯარიაშვილი
ELISO JARIASHVILI

შემოდგომაზე საქართველო ელოდება პასუხს ერთ ძალიან მნიშვნელოვან კითხვაზე – მოხვდება თუ არა ქვევრი იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში? ორგანიზაცია გადაწყვეტილებას თითქმის წელიწადნახევრიანი შესწავლის შემდეგ მიიღებს. 2012 წლის მარტში კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ სხვადასხვა უწყებებთან, მათ შორის, საქპატენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, ნომინირებისთვის მოამზადა და წარადგინა „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“.

სანომინაციო წინადადება, ათეულობით დოკუმენტის გარდა, ვიდეომასალისგანაც შედგება. ასევე, იუნესკოშია გაგზავნილი ქართველი რეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის მიერ გადაღებული ფილმი ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდის შესახებ. 10 წუთიან ფილმში საუბარია უძველეს და უნიკალურ ქართულ ქვევრში ღვინის დაყენების წესზე.

შემოდგომაზე, დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი კიდევ ერთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა გახდება, რომლითაც საქართველო UNESCO-ს ნუსხაში იქნება წარმოდგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას საქართველო 2007 წელს მიუერთდა, ჯერ კიდევ 2003 წლიდან ქართული მრავალხმიანი სიმღერა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია.

ის, რაც კულტურის სამინისტროში ოპტიმისტური მოლოდინის საფუძველს აძლევთ, ნომინაციის ფორმა და

A very important question for Georgia will be answered in autumn – whether Qvevri will be included on the UNESCO's List of Intangible Cultural Heritage. UNESCO will make the decision after almost a year and a half-long studying. In March 2012 the National Agency for Cultural Heritage Preservation prepared and presented the Ancient Georgian Traditional Qvevri Wine Making Method in close cooperation with various agencies, including Sakpatenti.

In addition to dozens of documents, the proposal also includes video material. A film made by Georgian director Merab Kokochashvili about traditional method of Qvevri wine making has also been sent to UNESCO. The ten-minute film focuses on ancient and unique Georgian traditional Qvevri wine making.

If decided in favor of including Qvevri on the list, Georgian traditional method of wine making will become another intangible cultural heritage of Georgia on UNESCO's list.

Georgian polyphonic singing was included on UNESCO's Intangible Cultural Heritage List as early as in 2003, even though Georgia joined UNESCO's Convention for the Safeguarding of Intangible Cultural Heritage only in 2007.

They are rather optimistic at the Ministry of Culture based on the form and contents of the nomination: **"We are hopeful because of the contents of the nomination, i.e. ancient and unique nature of the method, as well as the proposal that we put together in compliance**

შინაარსია. **„იმედის საფუძველი არის თავად ნომინაციის შინაარსი, ანუ მეთოდის სიძველე და უნიკალურობა, ასევე, იუნესკოს მოთხოვნების შესაბამისი და გამართულად მომზადებული ნომინაცია, მათ შორის, მერაბ კოკოჩაშვილის მიერ გაკეთებული ვიდეორგოლი, სადაც დეტალურად არის აღწერილი ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი. იუნესკოს მოთხოვნები გულისხმობს კონკრეტული, მათ მიერ გაწერილი, კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, რომელთაც სრულად აკმაყოფილებს ჩვენი ქვევრის მეთოდი. იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის სიაში გვექნება უკვე მეორე ნომინაცია, ჩაკრულოს შემდეგ. ქვეყნის საერთაშორისო რენომესთვის, მისი მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის, ძალიან პრესტიჟულია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში მოხვედრა, თუნდაც კულტურული ტურიზმის თვალსაზრისით“** – აცხადებს მაკა შავიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენცია 2003 წელს მიიღო. კონვენციის მიზანია მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება ცოცხალი, ზეპირი ტრადიციის გადარჩენის გზით. საქართველოს ჩათვლით, კონვენციას დღეისათვის მსოფლიოს 140-ზე მეტი ქვეყანაა მიერთებული. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ჩამონათვალი

**to UNESCO's requirements, including a video by Merab Kokochashvili, providing a detailed description of the traditional method of wine making. UNESCO's requirements are that nomination meets concrete criteria they have established. Qvevri method of wine making completely meets these criteria. We will have another item on UNESCO's Intangible Cultural Heritage List following "Chakrulo". Being on the list of world heritage is very important for international reputation of the country and promotion of its heritage,"** – says Maka Shavishvili, deputy head of the Department for Cultural Heritage Protection.

The UN Educational Scientific and Cultural Organization (UNESCO) adopted the Convention for the Safeguarding of Intangible Cultural Heritage in 2003 with the aim of preserving world's cultural diversity by saving traditions and living expressions. There are more than 140 parties to the convention, including Georgia. The list of intangible cultural heritage is long and includes language dialects, folklore and oral traditions, traditional music, dancing, rituals, traditional celebrations and carnivals, traditional methods of exploiting natural resources, crafting and many more.

According to the convention, intangible cultural heritage is safeguarded at the national



ქვევრი
Qvevri

ვრცელია, მათ შორისაა: ენა და დიალექტები, ფოლკლორი და ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, რიტუალები, ტრადიციული დღესასწაულები და კარნავალები, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტრადიციული მეთოდები, ხალხური რეწვა და ბევრი სხვა.

კონვენციის თანახმად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ორ – ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ხორციელდება. ეროვნულ დონეზე, კონვენციის წევრი ქვეყანა ზრუნავს მის ტერიტორიაზე არსებულ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე, საერთაშორისო დონეზე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით კი – იუნესკოს შესაბამისი კომიტეტი, წევრ-სახელმწიფოებთან მჭიდრო კონსულტაციების გზით, აქვეყნებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხას. ასევე, ადგენს იმ მემკვიდრეობის ნუსხას, რომელიც საფრთხის ქვეშ იმყოფება და გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს. ასევე, სახელმწიფოსთან ერთად შეიმუშავებს და აფინანსებს დაცვისათვის საჭირო პროგრამებს.

ისტორიულ-კულტურული ფასეულობის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ქვევრი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი 2012 წელს გახდა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან დღემდე გავრცელებულ ღვინის დასაყენებელ და შესანახ თიხის უნიკალურ ჭურჭელს – ქვევრს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. იგივე სტატუსი ქვევრმა საქართველოს პრეზიდენტის




საქპატენტმა დასახელება „ქვევრი“ დაარეგისტრირა როგორც სასაქონლო ნიშანი.
Sakpatenti registered the name “Qvevri” as a trademark.

and international level; state parties take the necessary measures to ensure the safeguarding of the intangible cultural heritage present in their territories. For safeguarding the heritage at international level, UNESCO’s committee in close consultation with member states publishes a representative list of intangible cultural heritages. It also develops the list of endangered heritage



2012 წლის ბრძანებულებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის შესაბამისადაც მიიღო.

ღვინის წარმოების მსოფლიო მეთოდებს შორის ქვევრში ღვინის დაყენების წესი ერთ-ერთი უძველესი და გამორჩეულია. ტრადიცია საუკუნეების შემდეგაც კარგად შემონახული და პოპულარულია, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მომხმარებლებისთვის საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. დასახელების უკანონო გამოყენებისა და ფალსიფიკაციის საფრთხეებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა საკუთარი ინიციატივა დაუპირისპირა, – დასახელება „ქვევრი“ დაარეგისტრირა როგორც სასაქონლო ნიშანი. **„ეს თავისთავად არ გულისხმობს მეთოდისა და მისი უნიკალურობის რეგისტრაციას, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია კომერციული თვალსაზრისით. კერძოდ, დღეის მდგომარეობით, დასახელება ქვევრი წარმოადგენს საქპატენტის, ანუ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს და ეს იძლევა სამართლებრივ შესაძლებლობას ყველა დაინტერესებულ მხარესთან და უწყებასთან ერთად შემუშავდეს კონკრეტული რეგლამენტაცია, განისაზღვროს პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნებისმიერ ფიზიკურ პირს თუ კომპანიას ექნება უფლება გამოიყენოს დასახელება „ქვევრი“. ამ რეგისტრაციის პრაქტიკული სარგებელიც სწორედ ის არის, რომ სახელმწიფოს ექნება ბერკეტი, ერთი მხრივ, არ დაუშვას ამ დასახელებით უკანონო სარგებლობა და მეორე მხრივ, განსაზღვროს ყველა ლეგალური გამომყენებელი, რითაც გარანტირებული იქნება პროდუქციის მაღალი სტანდარტი**“- აცხადებს საქპატენტის თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე.

იშვიათია პლანეტაზე 8000-წლიანი ტრადიციის ასე უწყვეტად შენარჩუნება და დღესაც ასე ფართო გამოყენება. ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი ერთ-ერთი მყარი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველო ღვინის წარმოშობის ისტორიის სათავეში იყო. დღეისათვის ნაპოვნი ყველაზე ადრეული არქეოლოგიური ნიმუშები მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე ჯერ კიდევ 7-8 ათასი წლის წინ და იმაზეც, რომ ღვინის სამშობლო მდებარეობს კავკასიაში. იმის დასტურად, რომ საქართველო ღვინის აკვანია, ხშირად ჰომეროსის პოემა „ოდისეაც“ მოჰყავთ.

ქართული ღვინის დაცვისა და პოპულარიზაციის კიდევ ერთი მექანიზმი სწორედ ბრენდს – „ღვინის აკვანს“ უკავშირდება. საქპატენტმა ევროკავშირში უკვე დაარეგისტრირა „ღვინის აკვანი“, როგორც ბრენდი. ევროკავშირის შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების მიერ შესაბამისი დამცავი დოკუმენტიც გაცემულია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ექნება ექსკლუზიური უფლება, ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე სარეალიზაციოდ წარადგინოს ღვინო სახელწოდებით – „საქართველო ღვინის აკვანი“. როგორც ინტელექტუალური

that needs immediate assistance, develops together with the member state concerned and funds necessary programs for safeguarding.

To ensure legal protection of historic and cultural values, Qvevri was granted the status of monument of cultural heritage in 2012. Under the order of the Minister of Culture and Monuments Protection, the unique vessel for keeping wine was granted the status of the monument of cultural heritage throughout Georgia. Qvevri was granted the same status under the presidential order on Cultural Heritage in 2012.

The Qvevri method is one of the most ancient and distinguished methods of wine making throughout the world. The tradition has been preserved throughout centuries and is still popular both among local and foreign consumers in and outside Georgia. To combat the threat of illegal use of the name and counterfeiting, the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti came up with an initiative – it registered the name Qvevri as a trademark. **"It certainly does not mean that the method and its unique nature have been registered, but it is very important from commercial point of view. As of today, the name "Qvevri" is a registered trademark under the ownership of Sakpatenti, i.e. the state, which provides a legal opportunity to elaborate concrete regulations with all interested parties and agencies, determine conditions that must be met by a natural person or a company for using the name "Qvevri". The registration allows the state to have a leverage for avoiding illegal use of the name on the one hand and determining all legal users on the other, which will guarantee high standards for the product,"** – says Irakli Ghvaladze, Sakpatenti Chairman.

Preserving the 8000-year old tradition in a continuous manner and using it broadly even today is very rare on the planet. Traditional method of Qvevri wine making is one of the solid arguments for proving that Georgia was at the starting point of the history of origination of wine making. Ancient archeological artifacts found today indicate that wine culture existed in Georgia as early as 7-8 thousand years ago, and that wine originated from the Caucasus. To prove that Georgia is the cradle of wine, they often cite Homer's "Odyssey".

Another mechanism for protection and promotion of Georgian wine is linked to the brand "Cradle of Wine". Sakpatenti has already registered "Cradle of Wine" as a brand in EU. EU Office for Harmonization of Internal Market (OHIM) has already issued a corresponding document for protection, meaning that Georgia will have an exclusive right to sell wine under the name of "Georgia – Cradle of Wine"




საკუთრების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე განმარტავს, „**ეს ბრენდი აქამდე ეკუთვნოდა ერთ-ერთ ცნობილ ბრიტანულ ღვინის მწარმოებელ კომპანიას. ჩვენ სფეროში ზოგადად ბევრი რამე დასწრებაზეა, სწორედ ამ პრინციპით დაარსებული საკანონმდებლო მექანიზმების გამოყენებით შევძელით ამ დასახელების რეგისტრაცია, რაც იმედი მაქვს ძალიან კარგი იქნება ჩვენი მწარმოებლებისათვის. მიღებული პრაქტიკის თანახმად, ასეთი ზოგადი სლოგანის რეგისტრაცია ძალიან მომგებიანია რამდენიმე დასახელების ერთგვაროვანი პროდუქტის ერთი სახელის ქვეშ გასაერთიანებლად, მით უფრო იმ შემთხვევაში, როცა ეს რეგისტრირებული სახელი ძალიან მომგებიანად ჟღერს კომერციული თვალსაზრისით. ვინაიდან, ამ დასახელებასაც საქპატენტი, ანუ სახელმწიფო ფლობს, ნებისმიერ დაინტერესებულ მწარმოებელს შეუძლია ისარგებლოს დასახელებით, ხოლო ევროპის ბაზარზე სხვა პირების მიერ ამ დასახელებით სარგებლობის შემთხვევაში, გამოიყენოს აკრძალვის შესაბამისი მექანიზმები. ეს ბრენდი იმდენად მომგებიანად ჟღერს, დარწმუნებული ვარ ბევრი ქართული კომპანია დიდი წარმატებით გამოიყენებს მას ევროპულ ბაზარზე**“.

ბრენდის „ღვინის აკვანი“ დარეგისტრირება და იმავდროულად „ქვევრის“ აღიარება ქართულ ღვინოს, რომელსაც ასე ესადაგება სიტყვა „უნიკალური“, აძლევს მართლაც უნიკალურ შანსს, გააძლიეროს საკუთარი პოზიციები ადგილობრივ და მსოფლიო ბაზარზე.

throughout the countries of EU. The Chairman of Sakpatenti explains: **“Up until now the brand was the property of one of the famous British wine producing company. Many things in this field are on a first come first serve basis. Guided by this principle, we used the existing legal mechanism for registration of the name and I hope that it will greatly benefit our producers. According to the common practice, registration of a general slogan is very profitable for uniting several homogenous products under one name, particularly when the registered name has a very profitable sound from commercial point of view. As the name is now the property of Sakpatenti, i.e. the state, any interested producer is able to use it and resort to corresponding mechanisms against the use of the name by someone else in the European market. The name has a very profitable sound and I am confident that many Georgian companies will be able to successfully utilize it in the European market”.**

Registration of the brand “Cradle of Wine” and recognition of “Qvevri” at the same time will provide a unique chance for Georgian wine, for which the word “unique” is rather well-suited, to reinforce its standing in the world market.



ფოტო: shutterstock.com
photo: shutterstock.com




# მუსიკოსი – მაქსიმალისტი
# MUSICIAN – MAXIMALIST

ელისო ჯარიაშვილი
ELISO JARIASHVILI

„ვერასდროს წარმომედგინა და ვერც ახლა წარმომიდგენია დღე მუსიკის გარეშე, ეს იყო ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, არის და იქნება.“

## დასაწყისი

ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ბავშვზე 3 წლის ასაკშივე ზუსტი წარმოდგენა აქვთ, რა პროფესიის იქნება მომავალში. ვირტუოზი პიანისტის მუსიკალური ვნებები ჯერ კიდევ პატარაობიდან გამოვლინდა. მოსმენილი მუსიკის სრული სიზუსტით განმეორება ინსტრუმენტზე, გარშემომყოფებს არწმუნებდა იმაში, რომ ნიკა ნიკვაშვილის სახელისა და გვარის ქვეშ დიდი მუსიკოსის ბიოგრაფია დაიწერებოდა. პროფესიული მუსიკალური განათლება შვიდწლედით დაიწყო, – საფორტეპიანო განხრა. შემდეგ სწავლა გააგრძელა საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე და ბოლოს კონსერვატორია, კომპოზიციის განხრით. დაამთავრა კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის კლასი. განათლების მიღების პროცესი მისთვის უწყვეტია, ამჟამად აბარებს მოსკოვის უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის ასპირანტურაში და, პარალელურად, მასტერკლასებს პარიზის კონსერვატორიაში გადის.

## ბიძინა კვერნაძე

ნიკამ წარმატებას უკვე 21 წლის ასაკში მიაღწია, – როცა ყველაზე სერიოზულ გამოწვევას შეხვდა და ღირსეულადაც. 2008 წელს ოპერისა და ბალეტის თეატრში ბიძინა კვერნაძის 80 წლის საიუბილეო კონცერტი მოაწყო. ნიკა ნიკვაშვილი ამ კონცერტის ორგანიზატორიც თავად დიდი კომპოზიტორის თხოვნით იყო. სწორედ ამ საღამოზე შესრულდა პირველად ბიძინა კვერნაძის ბოლო ნაწარმოები – „რექვიემი“. **„დიდი სიყვარული ალბათ**

"I could never imagine spending a day without music. Music has been and will always be an integral part of my life."

## BEGINNING

This is one of those rare cases when they knew exactly what a three-year-old child was going to be when he grew up. The virtuoso pianist showed passion for music from early age. He could listen to music and play it exactly the way it sounded, which led people around him to believe that Nika Nikvashvili would become a great musician. He first started taking piano lessons at a music school; then continued his studies at the department of choral conducting and finished with a conservatory, department of composition. He graduated from the class of famous Georgian composer Bidzina Kvernadze and never stopped pursuing his studies. He has already applied to a university in Moscow for postgraduate studies and is taking master classes in a conservatory in Paris.

## BIDZINA KVERNADZE

Nika experienced his first success at the age of 21, when he dealt with a serious challenge successfully. In 2008 he hosted a concert to commemorate 80th anniversary of Bidzina Kvernadze in the Theatre of Opera and Ballet. The concert was organized by him at the request of the great composer himself. This was the first time Bidzina Kvernadze's latest work "Requiem" was played. **"Great love will give you the power to do anything"** – he explains how

**ყველაფერს შეგაძლებინებს“** – გენიალური კომპოზიტორისადმი ამ დამოკიდებულებით ხსნის იმ სირთულეს და პასუხისმგებლობას, რომელსაც 21 წლის ასაკში გაართვა თავი. **„მე მართლა ვამაყობ, რომ ბატონი ბიძინას სიცოცხლეში ეს საღამო შედგა.“** უძილო ღამეები, უფრო შემოქმედებითი უძილობა, დირიჟორ გოგი ჭიჭინაძესთან და თავად დიდ კომპოზიტორთან ერთად შედეგიანი აღმოჩნდა, – ნიკა ნიკვაშვილის პირველი სერიოზული წარმატება სწორედ ბიძინა კვერნაძის სახელს დაუკავშირდა.

**„საერთოდ მიმაჩნია, რომ ჩემი ცხოვრების ამ ადამიანთან დაკავშირება ღმერთის დიდი საჩუქარია და მე მუდამ მადლიერი ვიქნები ამისთვის. ეს იყო უდიდესი კომპოზიტორი და გენიალური ადამიანი, რომელზეც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უდიდესი ღვაწლი აქვს ქართველი ერის წინაშე. ბიძინა კვერნაძემ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, როგორც მუსიკოსისა და როგორც ადამიანის ჩამოყალიბებაში, და ზოგადად, დიდი კვალი დატოვა ჩემს ცნობიერებაში.“**

გამორჩეულ კონცერტებს შორის ნიკა ნიკვაშვილი რეზო ლაღიძის საღამოსაც იხსენებს. თამრიკო ჭოხონელიძის სოლო კონცერტზე, სწორედ, ლაღიძის გენიალური შემოქმედება ნოსტალგიითა და ერთდროულად თანამედროვედ აჟღერდა. ბოლო დროინდელი შემოქმედებითი საქმიანობიდან, ასევე, სასიამოვნოდ ახსენდება მანანა მენაბდესთან ერთად ჩატარებული კონცერტი პეტერბურგში.

he was able to handle the difficulty and the responsibility at the age of 21. **“I am genuinely proud that Bidzina could witness this event in his lifetime.”** Sleepless nights, creative insomnia with director Gogi Chichinadze and the great composer himself did pay off and the first serious success that Nika Nikvaishvili achieved is now associated with the name of Bidzina Kvernadze.

**“Generally, I believe that having this person in my life is God’s great blessing and I will always be grateful for that. He was a great composer and a brilliant person and it’s no exaggeration to say that his contribution before the Georgian nation is great. Bidzina Kvernadze had an enormous influence on me as a musician and a person. Generally, he left a great mark in my consciousness.”**

The evening in honor of composer Rezo Lagidze is among his favorite concerts. Lagidze’s genius works were played at a solo concert of Tamriko Chokhonelidze both in a nostalgic and contemporary manner. A concert he held with Manana Menabdze in St. Petersburg is another one of his recent works that he talks about with great joy.

He has been pursuing his career in Moscow for several years now – the Georgian musician is involved in several different projects, working both as



ფოტო: shutterstock.com
photo: shutterstock.com

კარიერას, უკვე რამდენიმე წელია, მოსკოვში განაგრძობს, – ქართველი მუსიკოსი ჩართულია ერთმანეთისგან განსხვავებულ პროექტებში. მუშაობს როგორც კომპოზიტორი და ასრულებს დაკვეთებს სხვადასხვა მუსიკალურ ჟანრში. ამჯერად, საქმიანობის სფერო კინომუსიკაა. საკუთარი თავის რეალიზების გზები მრავალფეროვანია, მათ შორის, მუშაობს პიანისტადაც და აქვს საერთო პროგრამა არაერთ მომღერალთან. „**ჩემი პროფესია კოლოსალურ შრომას მოითხოვს, სწორედ ამ შრომისა და საუკეთესო მეგობრების გვერდში დგომით რაღაც დონეზე უკვე შევძელი საკუთარი თავის დამკვიდრება, თუმცა, წინ კიდევ უამრავი რამ მაქვს გასაკეთებელი. საერთოდ მაქსიმალისტი ვარ, – მუსიკას კი საზღვრები არ აქვს.**“

## მაღალი სტანდარტი

მუსიკალურ უსაზღვრობაში ნიკა ნიკვაშვილს კიდევ ერთი მიზანი აქვს. ვინაიდან, შემოქმედებითი საქმიანობის გარდა, 21 წლიდან კულტურული ღონისძიებების ორგანიზებაც მოუწია, საკუთარ თავს ამ საქმეშიც ხედავს. ნიკა რამდენიმე წელია მუშაობს და მოღვაწეობს მოსკოვში, სადაც უამრავი ქართველია, ასევე, აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ხშირად უწევს საზღვარგარეთ ქართულ კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება. ნიკას ქართული კულტურის მეტი პოპულარიზაცია სურს, განსაკუთრებით იქ, სადაც ეროვნული შემოქმედების მიმართ ინტერესი მაღალია. „**სამწუხაროდ ძალიან ხშირად, ეს ყველაფერი სავალალოა, ქართული შემოქმედება ძალიან მდარე ხარისხით წარმოჩინდება,**

a composer and taking orders to write music in a variety of musical styles. He is currently in the business of film scoring. He is able to realize himself through a variety of ways, including by working as a pianist and having joint programs with many singers. **"My profession is very labor intensive. It is owing to the hard work and the support from my best friends that I was able to establish myself at a certain level; however, there are many things that I need to do. I am a maximalist – music has no boundaries."**

## HIGH STANDARDS

In the infinite world of music Nika Nikvashvili has set another goal for himself. As from an early age of 21 he has also been organizing cultural events, he sees this as something he can pursue. Nika has been working in Moscow for several years now, where there are many Georgians. He is also closely cooperating with international organizations, frequently attending Georgian cultural events abroad. Nika wants to promote Georgian culture even more, particularly in places where they appreciate folklore the most. **"Unfortunately, in most cases [these**

ნიკა ნიკვაშვილი კარიერას უკვე რამდენიმე წელია მოსკოვში განაგრძობს.

Nika Nikvashvili has been pursuing his career in Moscow for several years.

ფოტო: თეა გრიგოლაშვილი
photo: Tea Grigolashvili





**რაც ჩემთვის პირადად ძალიან მტკივნეულია. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა იყოს გარკვეულ სისტემაში მოყვანილი და არსებობდეს რაღაც სტანდ-არტი, რომელიც არავინ არ უნდა დაარღვიოს. აუცილე-ბელია საზღვრებს გარეთ პროფესიონალი კულტურის ატაშეების არსებობა. დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებ-საც აწუხებთ, ბევრი ორგანიზაცია პირადად დამკავშირე-ბია და უთხოვია თანამშრომლობა ამ მიმართულებით. ამიტომ ჩემი სამომავლო გეგმები, შემოქმედებასთან ერთად, მინდა ქართული კულტურის პოპულარიზაცია – პროპაგანდას უკავშირდებოდეს.“**

## კავშირი თბილისთან

თბილისთან კავშირს გაწყვეტა არ უნდა. ნიჭიერი ახ-ალგაზრდა მუსიკოსი ცდილობს რუსეთიდან სამშობლო-ში ხშირად ჩამოვიდეს. 31 მაისს თბილისში იმართება მა-ნანა თოდაძის სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეო-ბა უნდა მიიღოს და, ამ მიზნით, ესტუმრება თბილისს. შემოდგომაზე კი დაგეგმილი აქვს ბიძინა კვერნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს ჩატარება. გვპირდება, რომ საღამო აბსოლუტურად განსხვავებული იქნება. პი-რადი პროექტის დეტალებზე მეტს აღარ საუბრობს. დან-არჩენი – თბილისში, შემოდგომაზე...

**events] are poorly executed and showcase a very poor quality Georgian folklore, which is very painful to me. I believe that there must be a set of certain standards that must be met by everyone. We should have profes-sional culture attachés abroad. I believe that many Georgian emigrants living abroad are also concerned with this issue. I've been con-tacted by many organizations, asking for co-operation. Therefore, in addition to the cre-ative work that I do I want my future plans to also involve promotion and propaganda of the Georgian culture."**

## TIES WITH TBILISI

He wants to maintain ties with Tbilisi. Young and talented Georgian musician tries to visit his home country as often as he can. On 31st of May he will take part in a solo concert of Manana Todadze and he will visit Tbilisi for this reason. In fall he has al-ready planned an event commemorating Bidzina Kvernadze, which he says is going to be absolutely different. He does not talk about any details of the project. The rest will be demonstrated in autumn in Tbilisi...

# ქართული ღვინო რუსეთში ბრუნდება

# GEORGIAN WINE RETURNS TO RUSSIA

სოფო კვინტრაძე
SOPHIE KVINTRADZE

მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში, რუსეთის სავაჭრო ობიექტებში შესაძლოა ისევ გამოჩნდეს ქართული ღვინო. 2006 წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართულ პროდუქციაზე გამოცხადებული ემბარგოს შემდეგ, ეს იქნება პირველი ქართული პროდუქტი, რომელიც რუსულ ბაზარს დაუბრუნდება. ორმა ქვეყანამ, რომლებსაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი აქვთ, მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ქართული პროდუქცია კვლავ დაუბრუნდეს თავის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბაზარს. ამის შემდეგ მოლაპარაკებების პროცესი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „როსპოტრებნადზორს“ შორის გაგრძელდა.

მიუხედავად მწვავე პოლიტიკური კონტექსტისა და საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, პროცესი საკმაოდ სწრაფად განვითარდა. რუსი ექსპერტების დელეგაცია უკვე ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში ღვინის მწარმოებელი კომპანიების შესამოწმებლად. ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი ამბობს, რომ რუსი და ქართველი ექსპერტები მთლიანად ორიენტირებულნი არიან პროცესის ტექნიკურ მხარეზე და პროცესიც საქმიანად, ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე მიმდინარეობს.

ქართულმა მხარემ რუსეთში გააგზავნა ასობით ოფიციალური დოკუმენტი, კანონი და ნორმატიული აქტი, რომელიც საქართველოში ღვინის წარმოებასა და რეალიზაციას არეგულირებს.

პარალელურად, საქართველოში რუსეთის სანიტარული სამსახურის ექსპერტები ჩამოვიდნენ. „როსპოტრებნადზორის“ წარმომადგენლებმა რუსულ ბაზარზე შესვლის მსურველი 37 ღვინის კომპანია მარტის თვეში შეამოწმეს. შემოწმება ეხებოდა საწარმოო პროცესის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, ლაბორატორიებსა და ხარისხის კონტროლის მექანიზმებს. 36-მა ქართულმა კომპანიამ, რომელმაც დადებითი შეფასება მიიღო, უკვე დაიწყო რუსეთში თავისი პროდუქციის რეგისტრაციის პროცესი. ერთ კომპანიას დამატებითი დრო მიეცა ხარვეზების გამოსასწორებლად. ნიმუშების დარეგისტრირების შემდეგ, კომპანიები შეძლებენ ექსპორტის დაწყებას.

ღვინის კომპანია „ბადაგონმა“ უკვე გააფორმა კონ-

In early May stores in Russia may start carrying Georgian wine again. After the Russian embargo on Georgia exports in 2006, this will be the first Georgian product that will return to the Georgian market. The two countries that severed diplomatic ties following the August war in 2008, made a political decision about returning Georgian exports to one of its big markets. Negotiations between the Ministry of Agriculture of Georgia and "Rospotrebnadzor" ensued.

Despite challenging political context and differing public sentiments, the process started moving rather fast. Delegation comprised of Russian experts has already visited Georgia twice for verification of companies that produce wine in Georgia. According to Levan Davitashvili, head of the National Wine Agency in Georgia, both Russian and Georgian experts are completely focused on technical aspects of the process; it is just business and no politics is involved.

The Georgian side has provided the Russian side with hundreds of official documents, laws and normative acts regulating production and selling of wine in Georgia.

At the same time, experts from the sanitary inspection of Russia visited Georgia. Representatives of "Rospotrebnadzor" inspected 37 wine companies willing to access the Russian market in March. The inspection entailed sanitary and hygienic norms, laboratories, mechanisms for quality control. 36 Georgian companies received positive feedback and subsequently, they have already started the process of registration of their products in Russia. After registration of samples they will be able to start exporting. The remaining one company was given additional time to address the problems.

Wine Company "Badagoni" has already signed a contract with an importer and the partners will start exporting the wine as soon as registration is com-

ტრაქტი იმპორტიორ კომპანიასთან. რეგისტრაციის პროცესის დასრულებისთანავე, პარტნიორები ღვინის ექსპორტს დაიწყებენ. როგორც „ბადაგონის“ გენერალური დირექტორი გიორგი სალაყაია აცხადებს, კომპანია პირველ წელს რუსეთის ბაზარზე 800 000 ბოთლი ღვინის შეტანას გეგმავს. „**ჩვენ რუსულ ბაზარზე წარვადგენთ ჩვენი ღვინოების 16-ვე დასახელებას. ეს კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის დამატებითი ბაზრის გახსნა ჩვენი პროდუქციისთვის, რომელიც აქამდე მსოფლიოს 16 ქვეყანაში იყიდებოდა**,“ – აცხადებს გიორგი სალაყაია. „ბადაგონის“ მთლიანი ექსპორტი წელიწადში დაახლოებით მილიონ ნახევარი ბოთლია. კომპანიაში ვარაუდობენ, რომ რუსული ბაზარი მათი ექსპორტის 35-40%-ს დაიკავებს. გიორგი სალაყაიას თქმით, კომპანია გაზრდილი ექსპორტის მოთხოვნების შესაბამისად დამატებით ინვესტიციებსაც განახორციელებს.

„მეღვინეობა ხარება“ რუსეთის ბაზარზე საკუთარი წარმოების 32 დასახელების ღვინის შეტანას აპირებს, აქედან ორი ცქრიალა ღვინოა. კომპანიამ უკვე დაიწყო „როსპოტრებნადზორში“ ეტიკეტების და ნიმუშების რეგისტრაციის პროცესი, პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები რამდენიმე ექსპორტიორ ფირმასთან. როგორც კომპანიის ექსპორტის მენეჯერი ბექა ხერგიანი ამბობს, „მეღვინეობა ხარება“ პირველ წელს რუსეთში 5 მილიონამდე ბოთლი ღვინის გაყიდვას გეგმავს, ძირითა-

pleted. According to Giorgi Salakaia, General Director of "Badagoni", they plan to export 800 000 bottles of wine to the Russian market for the first year. **"We will have all 16 types of wines that we produce presented at the Russian market. This is very important for the company. This will open additional market for our product that was already exported to 16 countries worldwide,"** - said Salakaia. "Badagoni" exports half a million bottles a year. They anticipate that exports to Russia will account for 35-40% of total exports by "Badagoni". According to Giorgi Salakaia, the company is willing to make additional investments to meet the increased export demand.

"Khareba Winery" is planning to export 32 types of wine to Russia, including two types of sparkling wine. It has already started the process of registration of labels and samples with "Rospotrebnadzor". At the same time it is actively negotiating with several exporting companies. According to Beka Khergiani, exports manager, "Khareba Winery" is planning to sell up to 5 million bottles of wine in Russia during the first year, mostly targeting Moscow and St. Petersburg; however, it will also export to other regions of the country.



ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან ერთად აქტუალური ხდება მისი ფალსიფიკაციისგან დაცვა.

**By opening Russian market for Georgian wine, the issue of protecting it from counterfeiting becomes relevant.**

ფოტო: shutterstock.com
photo: shutterstock.com



შესაძლოა, პირველ წელს საქართველომ 8-10 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტირება შეძლოს რუსეთში.

Georgia may export up to 8-10 million bottles of wine to Russia during the first year.

დი სამიზნე ქალაქები მოსკოვი და სანკტ-პეტერბურგი იქნება, თუმცა, კომპანიის პროდუქცია ქვეყნის სხვა რეგიონებშიც იქნება წარმოდგენილი.

**„ჩვენ დიდი მარაგები გვაქვს, მაგრამ მოთხოვნის შესაბამისად გავზრდით წარმოებასაც. ვფიქრობთ, რომ გარდა ჩვენი კუთვნილი 700 ჰა ვენახებისა, წლევანდელ რთველზე ყურძენს გლეხებისგანაც შევიძენთ,“** – ამბობს ბექა ხერგიანი. მისი თქმით, რუსული ბაზრის გახსნა კომპანიის შემოსავლებს გაზრდის. „მეღვინეობა ხარებას“ საკუთარი პროდუქცია ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, ჩინეთში, ჰონგ-კონგსა და იაპონიაში გააქვს. სამომავლოდ კომპანიის ხელმძღვანელები ვარაუდობენ, რომ მათი ექსპორტის 70%-ს რუსული ბაზარი დაიკავებს.

სტატისტიკურად პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრებზე მოთხოვნა მშრალ ნახევრადტკბილ ღვინოებზეა, ამიტომ ქართული ღვინოები „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“ და „ალაზნის ველი“, სავარაუდოდ, რუსეთში კვლავ იქნება პოპულარული.

კომპანია “GWS”-ის ღვინოებს მომხმარებლები კარგად იცნობდნენ რუსეთში. წელს “GWS”-ი რუსეთის ბაზარზე 16 დასახელების ღვინოს და ერთი დასახელების მაღალალკოჰოლურ სასმელს – ჭაჭას წარადგენს. კომპანიის მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ პირველ წელს მილიონ ბოთლს გაყიდის.

რაც შეეხება „შატო მუხრანს“, ის რუსეთის ბაზარზე

**“We have large reserves, but we are willing to increase production to meet the demand. We anticipate buying grapes from farmers this year in addition to our 700 hectares of vineyards,”** – says Beka Khergiani. According to him, access to the Russian market will boost income for the company. “Winery Khareba” is exporting to several countries in Europe, in China, Hong-Kong and Japan. They anticipate that exports to Russia would make up 70% of total exports.

Statistical research suggests that there is a demand for dry, semi-sweet wine in Post-Soviet countries and therefore, “Kindzmarauli”, “Khvanchkara”, “Alaznis Veli” may still be popular in Russia.

Consumers in Russia are well aware of “GWS” wines. This year “GWS” will export 16 types of wine and one alcoholic drink with high alcohol content – “Chacha”. Management of the “GWS” anticipates selling of half a million bottles during their first year of exporting to Russia.

As to “Chateau Mukhrani”, it plans to export 12 types of wine and one alcoholic drink with high alcohol content, “Chacha” to Russia; the total of 100 000 bottles.

12 სახეობის ღვინოს და ერთი დასახელების მაღალალკოჰოლურ სასმელს – ჭაჭას შეიტანს, მთლიანი რაოდენობით დაახლოებით 100 000 ბოთლს.

„შატო-მუხრანი“ და “GWS”-ი ევროპის, აშშ-სა და ჩინეთის ბაზრებზე ახორციელებს ექსპორტს. ორივე კომპანიის ხელმძღვანელები მიესალმებიან რუსეთის ბაზრის გახსნას, თუმცა, მათი გადაწყვეტილებით, ბაზრის დივერსიფიკაცია შენარჩუნებული იქნება, ამიტომ რუსეთის ექსპორტი 25-30 %-ს არ გადააჭარბებს.

**„ორივე კომპანია დადებითად აფასებს რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას, როგორც კომერციული თვალსაზრისით, ისე ბაზრების არეალის გაფართოების მიზნით. მაგრამ, ჩვენთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება დივერსიფიკაცია აქედან გამომდინარე, ჩვენთვის რუსეთი არის ერთ-ერთი ბაზარი და არა ისეთი ბაზარი, რომლის წარმატება ან წარუმატებლობა დიდ რყევებს გამოიწვევს ჩვენი კომპანიებისათვის,“** – აცხადებს „შატო-მუხრანისა“ და “GWS”-ის ექსპორტის მენეჯერი გიორგი თეიმურაზაშვილი.

ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან ერთად აქტუალური ხდება მისი ფალსიფიკაციისგან დაცვა. ამგვარი პრობლემის თავიდან ასაცილებლად საქპატენტი აქტიურ მოქმედებას იწყებს. ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციას-

“Chateau Mukhrani” and “GWS” have been exporting to Europe, US and China. Both companies welcome opening of the Russian market; however, they intend to keep diverse markets for exporting and therefore, exports to Russia will only account for no more than 25-30%.

**“Both companies welcome returning [of Georgian wine] to the Russian market both from commercial point of view as well as from the point of view of broadening the scope of markets. However, diversification remains a priority for us and therefore, Russia is just one of the markets but not the market whose success or failure will have great implications for our companies,”** – says Giorgi Teimurazashvili, export manager from “Chateau Mukhrani” and “GWS”.

By opening Russian market for Georgian wine, the issue of protecting it from counterfeiting becomes relevant. Sakpatenti plans to get actively involved to avoid the problem. Applications for registration of appellations of origin of Georgian wine will be filed with Russia’s federal patents office. For the purpose of registration of appellations of origin of Georgian wine, the applications will be filed with the Feder-



ფოტო: shutterstock.com
photo: shutterstock.com




თან დაკავშირებით განაცხადები წარედგინება რუსეთში ინტელექტუალური საკუთრების ფედერალურ სამსახურს. საქპატენტის ხელმძღვანელის – ირაკლი ღვალაძის ინფორმაციით, უწყებამ განაცხადების წარდგენისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაასრულა, შესაბამისი იურიდიული ფირმაც დაიქირავა და განაცხადებს უახლოეს დღეებში წარადგენს.

**„ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაცია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმი ქართული ღვინის ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად. ადილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაცია მოგვცემს სრულ საფუძველს განისაზღვროს ამ დასახელებების გამოყენების უფლების მქონე კომპანიათა ჩამონათვალი, ხოლო მათი უკანონო გამოყენების შემთხვევაში, მიღებულ იქნეს შესაბამისი ზომები,“** – აცხადებს ირაკლი ღვალაძე.

საქპატენტის ხელმძღვანელის განმარტებით, ქართული ღვინო და მინერალური წყალი დიდი პოპულარობით და ცნობადობით სარგებლობს, ზოგადად, პოსტსაბჭოთა სივრცეში და მათ შორის რუსეთის ფედერაციაშიც. **„პოპულარობის მაღალი მაჩვენებელი კი თავისთავად ზრდის ბაზარზე ფალსიფიკაციისა და დასახელებების უკანონოდ გამოყენების რისკს. შესაბამისად, ეს პრობლემა რუსეთის ბაზარზეც არსებობს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციაში ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაცია,“** – ამბობს ირაკლი ღვალაძე.

al Service for Intellectual Property of Russia (Rospatent). According to Irakli Ghvaladze, Chairman of Sakpatenti, preparatory works for filing applications have already been completed, legal firm has been hired and the applications will be submitted in the nearest future.

**“Registration of appellations of origin of Georgian wine will be one of the important legal mechanisms for protecting Georgian wine from counterfeiting on the territory of Russia. The registration will allow us to expressly determine the list of companies who have the right to use the appellations of origin and take measures in response to illegal use of the appellations of origin,”** – says Irakli Ghvaladze.

Chairman of Sakpatenti explains that Georgian wines and mineral waters are rather popular and famous in Post-Soviet countries in general, including in the Russian Federation. **“Since they are so popular, there is a bigger risk of counterfeiting and illegal use of appellations of origins. This problem also exists on the Russian market. Therefore, registration of appellations of origin for Georgian wines is particularly important,”** – says Irakli Ghvaladze.

Federal Service for Intellectual Property of Russia will make decision about registration of the appellations of origin in several months.

რუსეთის ფედერაციის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური სამსახურის გადაწყვეტილება ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით რამდენიმე თვეში გახდება ცნობილი. მანამდე კი, აპრილის დასაწყისში საქართველოს რუსეთის სანიტარული სამსახურის კიდევ ერთი დელეგაცია ეწვია, რომელმაც მთელი ქვეყნის მასშტაბით შეამოწმა რუსულ ბაზარზე პროდუქციის შეტანის მსურველი დარჩენილი კიდევ 35 კომპანია. გარდა ამისა, რუსი ექსპერტები ეწვივნენ ორ ეროვნულ ლაბორატორიასაც, სადაც გაეცნენ ღვინის ხარისხის შემოწმების სტანდარტებს. ინსპექტირების შედეგად, საბოლოოდ გამოვლინდება ის ქართული კომპანიები, რომლებიც წელს რუსეთში ღვინის ექსპორტს განახორციელებენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, შესაძლოა, პირველ წელს საქართველომ 8-10 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტირება შეძლოს რუსეთში. ამჟამად, ქართული ღვინის ექსპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წლიურად 24 მილიონამდე ბოთლს შეადგენს. თუ ამას დაემატება რუსეთის ბაზარზე 10 მილიონამდე ბოთლი ღვინო და შენარჩუნდება ზრდის ტემპები, შესაძლოა ერთი წლის შემდეგ მთლიანი ექსპორტი 40 მილიონ ბოთლამდე გაიზარდოს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის – ლევან დავითაშვილის განცხადებით, რუსეთი დაახლოებით 20-25%-ს დაიკავებს ქართული ღვინის ექსპორტში, თუმცა, დივერსიფიცირებული საექსპორტო ბაზრები კვლავ შენარჩუნდება.

ოფიციალური მონაცემებით, ამ ეტაპზე, ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: უკრაინა, ყაზახეთი, ბელარუსია, ჩინეთი და პოლონეთი, სადაც ექსპორტის მთლიან მოცულობაში უკრაინა ლიდერობს 47%-ით. 2013 წლის მარტის მდგომარეობით, სულ ექსპორტზე 3 381 387 ლიტრი ქართული ღვინო გავიდა, რაც 21%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

In April Georgia was visited by yet another delegation from the sanitary inspection service of Russia. They inspected remaining 35 companies throughout the country that are willing to export to Russia. Furthermore, Russian experts also visited two national laboratories and learned about their standards for verification of quality of Georgian wines. Results of inspection will be known following week, which will determine final number of companies who will export wine to Russia this year.

According to the National Wine Agency, Georgia may export up to 8-10 million bottles of wine to Russia during the first year of exporting. Currently 24 million bottles of wine are exported in different countries annually, which may increase up to 40 million if exports to Russia reach 10 million bottles and growth rates are maintained.

According to Levan Davitashvili, head of the National Wine Agency, Russia will account for 20-25% of Georgian wine exports; however, diversified export markets will be maintained.

According to official statistics, top five destinations for exporting Georgian wine is as follows: Ukraine, Kazakhstan, Belarus, China and Poland. Exports to Ukraine account for 47%. As of March 2013, total of 3 381 387 liters of Georgian wine have been exported, 21% more than last year's exports.






სასაქონლო ნიშანი – ბრენდი
TRADEMARK – BRAND

# ქართული ღვინო თელავის მარნიდან
# GEORGIAN WINE FROM TELAVI WINE CELLAR

სოფო კვინტრაძე
SOPHIE KVINTRADZE

ქართული მეღვინეობის ტრადიციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შერწყმა კომპანია „თელავის ღვინის მარნისთვის“ ხარისხიანი ღვინის წარმოების მთავარი პრინციპია. რატომ მარანი? იმიტომ, რომ საქართველოში, ღვინის კულტურის უძველეს ქვეყანაში, ეს არის მთავარი ადგილი, სადაც მთელი წლის შრომა-გარჯით მოყვანილი ყურძენი ქვევრში ან კასრში იწურება, დუღდება და ღვინოდ გარდაიქმნება.

## ისტორია

„თელავის ღვინის მარანი“ ერთ-ერთი უძველესი კომპანიაა, რომელიც ქართულ ბაზარზე ღვინოს აწარმოებს. მისი ისტორია 1915 წლიდან იწყება. საწარმო თელავის მახლობლად, მეღვინეობის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონში დაარსდა. გასაბჭოების შემდეგ, როგორც ყველა კერძო საწარმოს, მისი ნაციონალიზაციაც მოხდა. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ამ ტერიტორიაზე უფრო მასშტაბური ღვინის ქარხნის მშენებლობა დაიწყო, რომელსაც კურდღელაურის ღვინის ქარხანა ეწოდა. ის ტრადიციული, საბჭოთა ტიპის ქარხანა იყო, სადაც ხდებოდა ყურძნის მიღება-გადამუშავება, დაღვინება და დავარგება. მის ფუნქციებში არ შედიოდა ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა.

1995 წელს ქარხნის პრივატიზება მოხდა, ის თანამშრომლებმა შეისყიდეს, 1997 წლიდან კი ქარხანა მისმა ამჟამინდელმა მენეჯმენტმა შეიძინა.

**„ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის იყო კონცეფციის შექმნა, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო მომავალში ქარხანა. კონცეფციის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ, როგორც დასავლეთშია აპრობირებული, ღვინის წარმოების და მისი ხარისხის განმსაზღვრელი ყველა**

Combination of Georgian wine-making traditions and contemporary technologies is the cornerstone for production of quality wine by “Telavi Wine Cellar”. Why cellar? Because in Georgia, the country with an ancient culture of wine, cellar is the place where grapes harvested after a year-long labor are fermented in Qvevri or a barrel to make wine.

## THE HISTORY

“Telavi Wine Cellar” is one of the oldest companies that produce wine on the Georgian market. Its history dates back to 1915 when it was founded near Telavi, one of the major winemaking regions of Georgia. Following Sovietization “Telavi Wine Cellar” was nationalized like any other company. In 1960s they started building a bigger wine factory on the area, later named Kurdghelauri Wine Factory. It was a traditional Soviet-type factory where they received, processed, fermented and aged grapes. Its functions did not include bottling wine.

In 1995 the factory was privatized and bought by its employees. Since 1997 it has been owned by its current management

**“The most important thing for us was to create a concept for the development of the factory that would entail all stages of wine production and quality assurance within the company, similar to the Western practice. I.e. the production value chain would entail the whole process starting from vineyards to**

ეტაპი ჩვენი კომპანიის ფარგლებში განხორციელებულიყო, ანუ დაწყებული ვენახიდან, დამთავრებული ბოთლებში ჩამოსხმით მომხდარიყო ჩვენს კომპანიაში. მაგრამ, პრობლემა გახლდათ ის, რომ არ არსებობდა ხარისხიანი ვენახები, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ საკუთარი ვენახების გაშენება, რისთვისაც ჯერ სანერგე მეურნეობები ჩამოვაყალიბეთ, ანუ ფაქტობრივად დავიწყეთ ნულოვანი დონიდან,“ – აცხადებს „თელავის ღვინის მარნის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ზურაბ რამაზაშვილი.

## ვენახები – ყველაზე დიდი სიმდიდრე

თელავის ღვინის მარანში ფიქრობენ, რომ ღვინის ხარისხის პირველი განმსაზღვრელი სწორედ ის ვენახია, სადაც ყურძენი იკრიფება.

**„ეს ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრეა, ამაში ჩავდეთ დიდი ინვესტიცია როგორც ინტელექტუალური, ისე ფიზიკური. ინტელექტუალური იმ მხრივ, რომ შევიძინეთ ხარისხიანი ვენახის გაშენების ცოდნა, ამისთვის უცხოელი კონსულტანტებიც ჩამოვიყვანეთ და მათი გამოცდილება გავიზიარეთ. ამ ეტაპზე ჩვენი ვენახები საკმაოდ მაღალი ხარისხისაა, რაც ხარისხიანი ღვინის დამზადების საშუალებას გვაძლევს,“** – აცხადებს ზურაბ რამაზაშვილი.

**bottling. However, lack of quality vineyards was a problem and therefore, we decided to plant and cultivate our own vineyards. Therefore, we first built a nursery and basically started from square one,”** – says Zurab Ramazashvili, one of the founders of “Telavi Wine Cellar”.

## VINEYARDS – THE GREATEST WEALTH

At “Telavi Wine Cellar” they believe that the first determinant of the quality of wine is vineyard where grapes are harvested.

**“[The vineyards] are our greatest wealth, in which we have invested heavily both from intellectual and physical point of view. From intellectual point of view, we acquired the knowledge of cultivating a quality vineyard. We invited foreign experts for sharing experience. Our vineyards are currently of a very high quality, which allows us to produce quality wine,”** – says Zurab Ramazashvili.

The company owns total of 450 hectares of land in various districts of Kakheti. Its vineyards are planted on 280 hectares on Alazani Valley, at 200-



კომპანია კახეთის სხვადასხვა რეგიონში 450ჰა მიწის ფართობს ფლობს. მისი ვენახები გაშენებულია ალაზნის ველზე, ზღვის დონიდან 200-500 მეტრის სიმაღლეზე.

The company owns total of 450 hectares of land in various districts of Kakheti. Its vineyards are planted on Alazani Valley, at 200-500 meters above sea level.



კომპანია კახეთის სხვადასხვა რეგიონში 450 ჰა მიწის ფართობს ფლობს. მისი ვენახები გაშენებულია 280 ჰა ფართობზე, ალაზნის ველზე, ზღვის დონიდან 200-500 მეტრის სიმაღლეზე, უმეტესწილად წინანდლის და ქინძმარაულის მევენახეობის კონტროლირებად ზონებში.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ნიადაგის შემცველობისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ვენახებში გაშენებულია როგორც ძირძველი ქართული ვაზის ჯიშები – საფერავი, მუჯარეთული, უსახელოური, რქაწითელი, მწვანე, ქისი და სხვა, ისე უცხოური ვაზის ჯიშებიც, როგორიცაა: კაბერნე სოვინიონი, მალბეკი, მერლო და შარდონე.

განსაკუთრებულ ადგილზეა კონდოლის ვენახები, რომელსაც ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე 240 ჰა ფართობი უკავია. კონდოლის ვენახები თელავის სიახლოვეს, ცივ-გომბორის უღელტეხილის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 350-450 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მათი 30% უკავია თეთრი ყურძნის ჯიშებს, ხოლო 70% – წითელს. ვენახი ძირითადად გაშენებულია ადგილობრივი ქართული ჯიშის ვაზებით: საფერავი, რქაწითელი, ალექსანდროული, მწვანე და ქისი. ფართობის მცირე ნაწილი ეთმობა უცხოურ ჯიშებს: კაბერნე სოვენიონი, მერლო, მალბეკი, შარდონე.

კომპანიაში ამბობენ, რომ კონდოლის ვენახების ღვინის ხარისხს განაპირობებს კონკრეტული ვენახი, ვაზის ჯიშები, ვენახის მოვლის მრავალი ნიუანსი და კლიმატისა და ნიადაგის თავისებურებების ის

ვენახებში გაშენებულია როგორც ძირძველი ქართული ისე უცხოური ვაზის ჯიშებიც.

In these vineyards along with Georgian indigenous varieties of vine foreign varieties grow as well.

500 meters above sea level, mostly in controlled zones of Tsinandali and Kindzmarauli winemaking.

In consideration of geographic location, composition of soil and climatic conditions, they grow indigenous Georgian varieties of vine (Saperavi, Mujaretuli, Usakhelouri, Rkatsiteli, Mtsvane, Kisi, etc.), as well as foreign varieties (Cabernet Sauvignon, Malbec, Merlot and Chardonnay) in these vineyards.

Kondoli vineyards hold a special place occupying 240 hectares on the right bank of Alazani River. Kondoli vineyards are located near Telavi, on the north slope of Tsiv-Gombori pass, at the altitude of 350-450 meters above sea level. Its 30% is occupied by varieties of white grapes, 70% by red. The vineyard mostly features Georgian varieties of vine, including Saperavi, Rkatsiteli, Aleksandrouli, Mtsvane and Kisi. They also grow international varieties of vine, including Cabernet Sauvignon, Malbec, Merlot and Chardonnay on a small area.

According to the “Telavi Wine Cellar”, quality of

განუმეორებელი ერთობლიობა, რასაც ფრანგები ტერუარს (terroir) უწოდებენ. ამ მხრივ, კონდოლის ვენახები მართლაც გამორჩეულია.

საინტერესო ფაქტია, რომ კონდოლის ღვინო პირველად მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დაწერილ წიგნში „აღწერა სამეფოსი საქართველოსი“, რომელიც 1742 წლის რედაქციით გამოიცა. ამ ვენახებში მოწეული ყურძნისგან დამზადებული ღვინო საუკუნეების განმავლობაში საუკეთესო ხარისხის კახური ღვინის ეტალონს წარმოადგენდა.

„თელავის ღვინის მარანმა“ რამდენიმე ქვეყანაში უკვე დაარეგისტრირა „კონდოლის ვენახები“, როგორც სასაქონლო ნიშანი.

კომპანია საკუთარ ვენახებს ფლობს, ასევე, ქინძმარაულის ადგილწარმოშობის ზონაშიც, რომელიც ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. აქ 30.5 ჰა მიწის ფართობზე საფერავის ვენახია გაშენებული.

„თელავის ღვინის მარანის“ ახალი მიმართულებაა ბიოღვინის წარმოება, რაც გულისხმობს ვენახის მოვლის და მართვის ეკოლოგიურ მეთოდს და ღვინის წარმოების განსაკუთრებულ ეკოლოგიურ წესს. 2013 წლის დასაწყისში, 4 წლიანი საგამოცდო პერიოდის გავლის შემდეგ, კომპანიამ მიიღო ბიოღვინის წარმოების უფლება

wine from Kondoli vineyards is the result of combination of quality of vineyards, grape varieties, many details that go into taking care of vineyards as well as climatic and soil characteristics, referred to as terroir by the French. Kondoli vineyards are indeed unique in this regard.

Notably, Kondoli wine was first mentioned in a book written by Vakhushti Batonishvili, entitled “Description of the Kingdom of Georgia” published in 1742. Wine produced from grapes harvested in these vineyards was considered to be an etalon of best quality Kakhetian wine throughout centuries.

“Telavi Wine Cellar” has already registered Kondoli Vineyards as a trademark in several countries.

The company also owns vineyards in the zone of origin of Kindzmarauli, located on the left bank

ყოველწლიურად „თელავის ღვინის მარანი“ 30 სხვადასხვა სახეობის 3.5 მილიონ ბოთლ ღვინოს აწარმოებს.

“Telavi Wine Cellar” produces 3.5 million bottles of 30 different types of wine annually.



და შესაბამისი ევროპული სერტიფიკატი. წელს კომპანია უკვე 2 სახეობის ბიოღვინოს გამოუშვებს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. კომპანია აგრძელებს ბიო მიმართულებას და მომდევნო 3 წელიწადში ბიოწარმოებას შეემატება 50 ჰა ვენახიდან მიღებული ღვინო.

### ტექნოლოგია და ადამიანური რესურსი – ხარისხის გარანტია

იმისათვის, რომ „თელავის ღვინის მარნის" ლოგოთი ჩამოსხმული თითოეული ბოთლი ღვინო იყოს მაღალი ხარისხის, გამოცდილი ქართველი და უცხოელი მეღვინეები ერთობლივად ზრუნავენ. ზურაბ რამაზაშვილის თქმით, შიდა ტექნოლოგია, სანიტარული ნორმების უმაღლეს დონეზე დაცვა და, ასევე, თანამშრომელთა კვალიფიკაცია განაპირობებს მათი ღვინის მაღალ ხარისხს.

**„კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ როგორ ფუნქციონირებს კომპანია, რამდენად გამჭვირვალეა მისი მუშაობა ყველასთვის და რამდენად სწორადაა გადანაწილებული პასუხისმგებლობა. ამ სისტემის ჩამოყალიბებას ჩვენ დიდი დრო მოვახმარეთ,"** – ამბობს ზურაბ რამაზაშვილი.

კომპანია ამჟამად აღჭურვილია თანამედროვე,

of Alazani River, where 30.5 hectares of land is occupied by Saperavi vineyard.

Organic wine is a new line of productionat "Telavi Wine Cellar", which implies ecological management and maintenance of vineyards, as well as a special ecological method of production. In early 2013, following a four-year trial period, the company acquired the right to produce organic wine and was awarded corresponding European certificate. In 2013 "Telavi Wine Cellar" will produce two types of organic wine for sale at national and international markets. The company plans to continue production of organic wine and to further boost it by adding grapes harvested from a 50-hectare vineyard.

### TECHNOLOGY AND HUMAN RESOURCES – QUALITY ASSURANCE

Experienced Georgian and foreign wine makers are equally involved in efforts of quality assurance for every bottle of wine produced under the name of "Telavi Wine Cellar". According to Zurab Ramazashvili, new technologies, strict compliance with sanitary norms and skilled personnel all contribute to the excellent quality of







გაზაფხული ქინძმარაულის ვენახებში
**Spring at Kindzmarauli Vineyards**

ევროპული ყურძნის გადამამუშავებელი, ღვინის დასაყენებელი და შესანახი მანქანა-დანადგარებით. ხორციელდება ღვინის დამზადების რთული ტექნოლოგიური პროცესის სრული ელექტრონული კონტროლი დაწყებული სანერგე სისტემიდან, დამთავრებული ღვინის ბოთლებში ჩამოსხმით. მუდმივი ძიება და სიახლისკენ სწრაფვა, ორიენტირება ხარისხზე და არა რაოდენობაზე, „თელავის ღვინის მარნის" სავიზიტო ბარათია.

### ქართული და საერთაშორისო ბაზარი

ყოველწლიურად „თელავის ღვინის მარანი" 30 სხვადასხვა სახეობის 3,5 მილიონ ბოთლ ღვინოს აწარმოებს. მარნის ღვინოები ექსპორტზე გადის მსოფლიოს 20 ქვეყანაში, ევროპის, ამერიკის და აზიის ბაზრებზე.

უახლოეს მომავალში „თელავის ღვინის მარანი" რუსულ ბაზარზეც შეიტანს საკუთარ პროდუქციას. ამ მიზნით, კომპანიამ უკვე გააფორმა ხელშეკრულება ორ ექსპორტიორთან.

**„ჩვენი რუსი პარტნიორების მხრიდან განწყობა ძალიან ოპტიმისტურია, დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებული იქნება ჩვენი ღვინოების ხელახალი დაბრუნება რუსეთის ბაზარზე,"** – აცხადებს ზურაბ რამაზაშვილი.

როგორც მარკეტინგის მენეჯერი ნატალია გიგიტელაშვილი აცხადებს, მარნის ღვინოებიდან გან-

wine produced by the company.

**"Another important factor is the way the company operates, transparency of operations and equal distribution of responsibilities. We spent much time on the development of the system [that we have now]," –** says Zurab Ramazashvili.

The company at present is equipped with contemporary technologies for grape processing, wine fermentation and storage. Complex process of wine production is fully controlled electronically, starting from nursery system to actual bottling of wine. Constant search and strive for novelty, focus on quality rather than quantity is the company's calling card.

### GEORGIAN AND INTERNATIONAL MARKET

"Telavi Wine Cellar" produces 3.5 million bottles of 30 different types of wine annually. Wine is exported to 20 countries, including the European, American and Asian markets.

"Telavi Wine Cellar" plans to access the Russian market in the nearest future. It has already signed contracts with two exporting companies.

**"Our Russian partners are very optimistic. I believe that re-entry of our wines to the**

საკუთრებით პოპულარულია ბრენდები „სატრაპეზო“. სახელი „სატრაპეზო“ წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „ტრაპეზა“ (trapeza), რაც „წმინდა სუფრას“ ნიშნავს.

**„ძველად საქართველოში საუკეთესო ღვინოებს ტრაპეზის ცერემონიისათვის ინახავდნენ, რომელთაც უმაღლესი სასულიერო პირები და გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეები ესწრებოდნენ. ამგვარი, განსაკუთრებული ღირსებით შემკული ღვინოები ცნობილი იყო, როგორც „სატრაპეზო“ ღვინოები,“ –** ამბობს ნატალია გიგიტელაშვილი.

„თელავის ღვინის მარანი“ აწარმოებს რამდენიმე სახეობის ღვინოს სახელწოდებით „სატრაპეზო“, მათ შორისაა სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიით დამზადებული „სატრაპეზო აისვაინი“ ანუ ე.წ. ყინულოვანი ღვინო. ის რქაწითელის ჯიშის ყურძნისგან მზადდება, მაგრამ ყურძენი დეკემბერში მხოლოდ მას შემდეგ იკრიფება, რაც ტემპერატურა -8$^0$C-მდე დაიკლებს და მარცვლები გაიყინება. რადგან მარცვალში არსებული წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაყინულია, გამოწურული წვენის გამოსავალი ძალიან მცირეა, მაგრამ საოცრად კონცენტრირებულია ყურძნის შაქრით, მჟავებითა და არომატული ნივთიერებებით. „სატრაპეზო აისვაინი“ კომპანიის ექსკლუზიური, ლიმიტირებული ღვინოა, რომელმაც უკვე დაიმსახურა საერთაშორისო აღიარება.

**Russian market will be successful,”** – says Zurab Ramazashvili.

According to marketing manager Natalia Gigitelashvili, “Satrapezo” is the most popular brand of “Telavi Wine Cellar” wines. The word “satrapezo” itself is derived from a Greek word “trapeza” meaning a “sacred table”.

**“In ancient Georgia best wines were kept for the ceremony of trapeza, attended by higher clergy and distinguished statesmen. Such wines were known as “satrapezo” wines,”** - says Natalia Gigitelashvili.

“Telavi Wine Cellar” produces several different types of wine under the brand Satrapezo, including Satrapezo Ice-wine produced with the use of a completely different technology. It is made of Rkatsiteli grapes harvested in December only after the temperature falls below -8°C, freezing the grapes. Since most of the water inside the grapes is frozen, only small amount of juice can be squeezed out of these grapes but the juice has an incredibly high content of grape sugar, acids and aromatic substances. Satrapezo Ice-Wine is an exclusive, limited type of wine produced by the company, which has already been recognized internationally.



ხორციელდება ღვინის დამზადების რთული ტექნოლოგიური პროცესის სრული ელექტრონული კონტროლი.

**Complex process of wine production is fully controlled electronically.**



## ალმოაჩინე მარანი

„ალმოაჩინე მარანი“ – ამ სლოგანით კომპანია „თელავის ღვინის მარანი“ ნებისმიერ მსურველს სთავაზობს გაიაროს „ღვინის გზა“, ნახოს ღვინის წარმოების სრული პროცესი – დაწყებული ვენახებიდან, შემდეგ საწნახელი, კასრები და ბოლოს ღვინის ბოთლში ჩამოსხმა.

როგორც კომპანიაში განმარტავენ, მსგავსი ტურები განსაკუთრებით მიმზიდველია უცხოელი სტუმრებისთვის, რომლებიც ეცნობიან ქართული ღვინის ისტორიას და ბოლოს მარანში სხვადასხვა სახეობის ღვინოს აგემოვნებენ. „თელავის ღვინის მარანში“ მსგავსი დეგუსტაცია კახური „დედას პურის“, ყველისა და მინერალური წყლის თანხლებით ხდება.

ღვინის მოყვარულებს კომპანია კლუბში ეპატიჟება. **„მარნის ღვინის კლუბის წევრები განსაკუთრებული მომსახურებით სარგებლობენ, წელიწადში რამოდენიმეჯერ და დღესასწაულებზეც ვთავაზობთ სპეციალურ ფასდაკლებებს ჩვენს პროდუქციაზე, ასევე,**

## DISCOVER CELLAR

“Discover the Cellar” is a campaign by “Telavi Wine Cellar” offering any interested individual to walk down the “path of the wine”, get familiar with the whole value chain starting from vineyards to presses, barrels and bottling of the wines.

As they explain at the company, similar wine tours are particularly attractive for foreign visitors, providing them with the possibility to get to know with the history of Georgian wine and taste different varieties of wine in the cellar at the end of the wine tour. These tastings at “Telavi Wine Cellar” are accompanied by Kakhetian “mother’s bread”, cheese and mineral water.

The company invites visitors to the wine club of “Telavi Wine Cellar”. **“Club members enjoy a special service; we also offer couple of discounts throughout the year, including during holidays. They receive newsletters and have access to our exclusive wines for inter-**

**ვაწვდით ინფორმაციას კომპანიის სიახლეებზე. კლუბის წევრებისთვის ხელმისაწვდომია ჩვენი ექსკლუზიური და შიდა-კომპანიის ღვინოებიც,"** – აცხადებს „თელავის ღვინის მარნის" მარკეტინგის მენეჯერი ნატალია გიგიტელაშვილი.

კომპანია სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო, უმაღლესი კატეგორიის ღვინის კონკურსებში, საიდანაც ყოველწლიურად იღებს 30-დან 40-მდე სხვადასხვა კატეგორიის ჯილდოს, მათ შორის, გრან-პრის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს.

კომპანიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია საკუთარი სასაქონლო ნიშნების დაცვა. ყოველ მათგანს აქვს საერთაშორისო რეგისტრაცია და, შესაბამისად, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში „თელავის ღვინის მარნის" ღვინოების მომხმარებელი მაქსიმალურადაა გარანტირებული, რომ კომპანიის ლოგოთი ნიშანდებული პროდუქციის შეძენისას, დააგემოვნებს ნამდვილ ქართულ, მაღალხარისხოვან ღვინოს.

**nal consumption,"** – says "Telavi Wine Cellar" Marketing Manager, Natalia Gigitelashvili.

The company has been systematically participating in international competitions for wines that fall under the category of highest quality, and annually receives up to 30-40 awards for various categories, including grand prize, gold, silver and bronze medals.

The company pays particular attention to protection of trademarks. Each of their trademarks have been registered internationally and therefore, consumers of "Telavi Wine Cellar" are protected from counterfeit products as much as possible, allowing them to enjoy true Georgian high-quality wine by purchasing products with "Telavi Wine Cellar" logo.

კომპანიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია საკუთარი სასაქონლო ნიშნების დაცვა. ყოველ მათგანს აქვს საერთაშორისო რეგისტრაცია.

The company is paying particular attention to protection of trademarks. Each of their trademarks have been registered internationally.



ყველა ფოტო: თელავის ღვინის მარნის არქივიდან
All Photos: Archive of "Telavi Wine Cellar"



# ინტელექტუალურ უფლებებზე საქართველოს კანონმდებლობის ზოგიერთი ტერმინოლოგიური პრობლემის შესახებ

# SOME TERMINOLOGICAL PROBLEMS IN INTELLECTUAL RIGHTS LEGISLATION OF GEORGIA

დავით ძამუკაშვილი
პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

DAVIT DZAMUKASHVILI
PROFESSOR
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY
SULKHAN-SABA UNIVERSITY

საქართველოში ინტელექტუალურ უფლებათა სამართლის ჩამოყალიბება დაიწყო 1992 წელს მიღებული გამოგონების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულებებით და გაგრძელდა 1999 წელს საავტორო უფლებების შესახებ, საპატენტო, სასაქონლო ნიშნების, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ კანონების ამოქმედებით. ინტელექტუალურ უფლებათა სამართლის სისტემამ დასრულებული სახე მიიღო 2010 წელს დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ.

მართალია, საქართველოში ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი ეთანადება თანამედროვე სტანდარტებს, მაგრამ მასში მაინც მრავალი ხარვეზია შემორჩენილი. ამ სტატიაში, ძირითადად, შევეხებით ტერმინოლოგიურ და ზოგიერთ მნიშვნელოვან მატერიალურ სამართლებრივ პრობლემას.

სხვადასხვა მნიშვნელობისა და სიღრმის პრობლემური ნორმა და ხარვეზი ყველა დასახელებულ კანონს ახლავს. პრობლემებს, ძირითადად, განვიხილავთ საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, დიზაინის შესახებ და საპატენტო კანონების შესაბამისად.

## ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება“

საქართველოს კონსტიტუციამ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის პ) ქვეპუნქტით ინტელექტუალური საკუთრების

Formation of Intellectual Rights Legislation of Georgia started with adoption of the regulations on inventions, industrial designs and trademarks in 1992 and continued by enactment of the Law on Author's Rights and Neighbouring Rights, Patent Law, Law on Trademarks and IP Border Measures in 1999. IP legislation was completed by adoption of the Law of Georgia on Designs in 2010.

Although IP laws in Georgia are harmonized with contemporary standards, certain problems remain. This article provides an overview of key terminological problems and main issues in material substantive law.

All of the foregoing laws have certain problematic norms and deficiencies and contain certain problematic norms of various depth and meaning. I will address these problems in light of the Constitution, the Civil Code and the Laws on Author's Rights and Neighbouring Rights, Law on Designs and the Patent Law.

## TERM "INTELLECTUAL PROPERTY"

Under para. 1p) of Article 3 of the Constitution of Georgia, legislation on intellectual property falls within the exclusive competence of higher supreme state bodies of Georgia. Not a single provision in the Constitution determines essential substantive scope of intellectual property. Therefore, we need to determine contents of the Constitutional notion in order to find which laws exactly constitute the

კანონმდებლობა მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიაკუთვნა. კონსტიტუციის არც ერთი ნორმა არ განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების არსობრივ ფარგლებს. აქედან გამომდინარე, დასადგენია კონსტიტუციური ცნების შინაარსი, რათა ზუსტად ვიცოდეთ რომელმა კანონებმა უნდა შეადგინოს კონსტიტუციით განსაზღვრული მისი ამ ნორმით მითითებული „კანონმდებლობა". სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება" პირობითი მნიშვნელობით იხმარება, მის არეში საკუთრებითი და არაქონებრივი უფლებები ერთად მოიაზრება. სამართლებრივი გაგებით კი „ინტელექტუალური საკუთრება" მხოლოდ ქონებრივ უფლებათა ერთობლიობით გამოიხატება – სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. შესაბამისად, როცა საკანონმდებლო ტერმინად გვხვდება იგი, მისი შინაარსი ქონებრივი უფლებამოსილებებით უნდა შემოიფარგლოს. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის მე-3 მუხლის განსახილველი ნორმა შეიძლება მიუთითებდეს მხოლოდ იმ კანონებზე, რომლებიც ინტელექტუალურ შემოქმედებასთან დაკავშირებულ ქონებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს. ასეთი კანონები სამრეწველო საკუთრებას, კერძოდ კი მის ნაწილს – კომერციულ აღნიშვნებს ეკუთვნის. ესენია: სასაქონლო ნიშნების შესახებ, საქონლის ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ და მეწარმეთა შესახებ კანონები. მათთვის უცხოა პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება და ამი-

"legislation" indicated in the Constitutional provision cited above. In scientific literature Intellectual Property is a conditional term that implies both property and non-property rights. From a legal point of view, Intellectual Property can only include property rights and rightly so. Therefore, when used as a legal term its meaning must be limited to property rights, meaning that the foregoing Constitutional provision can only indicate laws that regulate relations related to property rights connected to intellectual creative activity.

Such laws belong to industrial property, in particular to its part - commercial signs and include Laws on Trademarks, Appellations of origin and Geographical indications, IP border measures and Entrepreneurship. They do not regulate relations related to personal non-property rights and therefore, they perfectly express the sense of substantive legal essence of intellectual property. There are other laws that regulate the relationships with respect to civil circulation of works created as a result of creative activity of authors, inventors and designers. In addition to property rights these laws also apply to personal non-property rights. Therefore, the legal essence of the Constitutional norm cited leads us to believe



ტომ ისინი სრულყოფილად გამოხატავენ ინტელექტუალური საკუთრების მატერიალურ სამართლებრივ არსს. განსხვავებული ვითარებაა ინტელექტუალურ უფლებებთან დაკავშირებულ იმ კანონებთან მიმართებით, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობებს საავტორო, საგამომგონებლო და დიზაინერული შემოქმედების შედეგად შექმნილი ქმნილებების სამოქალაქო ბრუნვასთან დაკავშირებით. ეს კანონები ქონებრივთან (განსაკუთრებულ უფლებებთან) ერთად პირად არაქონებრივ უფლებებსაც ითვალისწინებს. შესაბამისად, კონსტიტუციის განხილული ნორმის სამართლებრივი არსიდან გამომდინარე, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ თითქოს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნა მხოლოდ სამრეწველო საკუთრების შემადგენელი, ზემოთ მითითებული კანონები, რაც გვაფიქრებინებს, რომ საავტორო, საპატენტო და დიზაინსამართლებრივი კანონები შეიძლება აჭარის ან აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოთა გამგებლობას ეკუთვნოდეს. ასეთი ვითარება ფედერალური მოწყობის არც ერთ ქვეყანაში არ გვხვდება (აშშ-ისა და გერმანიის ჩათვლით) და გამოსასწორებელია. ეს კი რთული არ არის – საკმარისია კონსტიტუციის განხილული ნორმა შემდეგი ტექსტით ჩამოყალიბდეს: „ინტელექტუალურ უფლებათა კანონმდებლობა მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნა".

ნორმის ასეთმა ტექსტმა ასახვა სხვა კანონებშიც უნდა ჰპოვოს. კონსტიტუციის შემდეგ, პირველ რიგში, „კერძო სამართლის კონსტიტუციად" წოდებულ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული ტერმინოლოგიური შეუსაბამობა უნდა გამოსწორდეს.

კონსტიტუციით განმტკიცებული ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება" სამოქალაქო კოდექსში ხან მეცნიერული, ხან კი სამართლებრივი გაგების შესაბამისად არის გადმოცემული. ამოქმედებისთანავე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეოთხე წიგნს „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი" ეწოდა. წიგნი ორ კარად დაიყო. პირველი კარის დასახელებაა „საავტორო სამართალი" და შეუსაბამობა უკვე აქედან იწყება. წიგნის დასახელებას თუ იურიდიული გაგებით განვსაზღვრავთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მისი არსი უფრო ვიწროა, ვიდრე პირველი კარის დასახელებისა. საქმე ის არის, რომ საავტორო სამართალი ყველაზე მეტად არის ინტელექტუალური პირადი არაქონებრივი უფლებების მომცველი, რისი დასტურიც სამოქალაქო კოდექსის 1017-ე მუხლიდანვე ნათლად იკვეთება. კერძოდ, იგი აწესებს, რომ: „საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების, აგრეთვე, ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლების დაცვა ხორციელდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად". თუ ტერმინს „ინტელექტუალური საკუთრება" პირდაპირი სამართლებრივი და არა ლიტერატურაში გავრცელებული პირობითი მნიშვნელობით განვიხილავთ ადვილად შევნიშნავთ, რომ ციტირებული ნორმით საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებები ქონებრივი უფლებების

that only those foregoing laws that apply to the industrial property fall within the exclusive competence of higher supreme state bodies of Georgia. To conclude, this creates impression that Copyrights, Patent and Design laws may fall under the scope of governance of Adjarian or Abkhazian authorities, which is rather uncommon for federal states (including the US and Germany) and therefore, needs to be addressed. The problem can be easily remedied by formulating the Constitutional provision as follows: "Intellectual Rights legislation falls under the exclusive competence of supreme state authorities of Georgia."

The foregoing norm must also be reflected in other laws as well. In addition to the Constitution terminology, the problem must be remedied in the Civil Code of Georgia proclaimed as the "Constitution of private law".

The term Intellectual Property reinforced by the Constitution is used sometimes with its scientific and sometimes with its legal meaning in the Civil Code. Upon enactment Book IV of the Civil Code was entitled Intellectual Property Law and divided into two titles. The first title was entitled Author's Rights Law and the incompliance discrepancy starts from this point. If we define the title of the Book IV from the legal point of view, we need to admit that the meaning is narrower than the meaning of the first title. Author's Rights most of all protect intellectual personal non-property (moral rights), as shown clearly from Article 1017 of the Civil Code. In particular, the latter stipulates that: "Protection of property rights and personal non-property rights in a work of authorship regulated by Author's Rights as well as protection of some neighbouring rights related thereto, shall be exercised in accordance with the Law of Georgia "On Author's Rights and Neighbouring Rights". If we apply legal meaning of the term Intellectual Property as opposed to the meaning used in literature, we will easily notice that pursuant to the provision cited above personal non-property author's rights fall under the scope of property (economic) rights, even though intellectual but still in the area of "property" rights. Consequently, legal scope of copyrights reinforced by the first Title of Book IV is beyond the scope of its meaning used in literature. In viw of substantive law inconsistency is rather evident and the solution is similar to the one in the case of the Constitution. In particular, Book IV must be renamed as Law on Intellectual Rights, which will leave one more legal gap to

ალმნიშვნელი ცნების, მართალია ინტელექტუალურის, მაგრამ, მაინც „საკუთრების" წიაღში შეტანილი აღმოჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეოთხე წიგნის ამ კარით განმტკიცებული საავტორო უფლებების იურიდიული ფარგლები გადის სამოქალაქო კოდექსის მეოთხე წიგნის დასახელების სამართლებრივი მოცულობის გარეთ. მატერიალურ სამართლებრივი შეუსაბამობა აშკარაა. გამოსავალი აქაც კონსტიტუციის მიმართ მითითებულის მსგავსია – სამოქალაქო კოდექსის მეოთხე წიგნის დასახელება უნდა შეიცვალოს შემდეგით: „ინტელექტუალური უფლებების სამართალი". ამ ცვლილების შემდეგ სამოქალაქო კოდექსში მხოლოდ ერთი უხერხულობაღა იქნება გამოსასწორებელი, რომელიც 1100-ე მუხლის მე-3 ნაწილში გვხვდება. ეს მუხლი ეხება სამრეწველო საკუთრების ორი ინსტიტუტის ობიექტებს: გამოგონებას, სასარგებლო მოდელს (მცირე გამოგონება) და დიზაინს. ამ უკანასკნელი ობიექტის ალმნიშვნელი ტერმინი 2010 წელს დიზაინის შესახებ სპეციალური კანონის მიღების შემდეგ დამკვიდრდა, მანამდე მას „სამრეწველო ნიმუში" ეწოდებოდა, რაც შემორჩა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის აღნიშნულ ნორმაში, რომელიც შემდეგნაირადაა გადმოცემული: „გამოგონების, სასარგებლო მოდელისა და სამრეწველო ნიმუშის ავტორობის უფლება განუსხვისებელი და უვადო უფლებაა". ამ ნორმაში უადგილოდაა გამოყენებული ტერმინი „ავტორობის უფლება". საპატენტო კანონი ავტორთა უფლებებს არ ეხება. შესაბამისად, რადგან ავტორი მხოლოდ საავტორო სამართლის სუბიექტია, ტერმინი „ავტორობის უფლება" არ შეიძლება არსებობდეს საპატენტო და დიზაინის სამართალში. გამოსავალი, ამ შემთხვევაში, კიდევ უფრო მარტივია – სამოქალაქო კოდექსიდან ამოსაღებია 1100-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რის შედეგადაც სამართლებრივი უხერხულობა აღარ იარსებებს.

ბოლოს, შევეხებით სამოქალაქო კოდექსის ერთ უზოგადოეს ნორმას, რომელიც ასახულია მე-7 მუხლში: „კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული". აქ პრობლემა წინადადების იმ ნაწილშია, რომელიც გადმოსცემს, რომ კერძო სამართლის ობიექტად შეიძლება იყოს „ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე". წინადადების ეს ნაწილი უხეშ სამართლებრივ შეუსაბამობას შეიცავს, რადგან იმ აზრამდე მივყავართ  თითქოს კერძო სამართალმა უნდა დაიცვას მატერიალური ან არამატერიალური სიკეთე (კარგადაა ცნობილი, რომ ამ უკანასკნელს ინტელექტუალურ უფლებებსაც აკუთვნებან), რომელსაც შეიძლება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ღირებულება ჰქონდეს. ვფიქრობთ, დასაბუთებას არ საჭიროებს, რომ არაქონებრივი ღირებულებით მატერიალური სიკეთე არ შეიძლება განისაზღვროს, ნორმა კი ზუსტად ასეთი არსის გამომხატველია. მუხლის რედაქცია შესაცვლელია და იგი შეიძლება შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს: „კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ღირებულების მატერიალური და ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული"

be tackled in para.3, of Article 1100 of the Code regulating objects of industrial property: invention, utility model (petty invention) and design. The latter term was introduced after enactment of a special law on designs in 2010. Before that it was known as an "industrial model (design)" still used in the foregoing provision of the Civil Code of Georgia stipulating that "the author's right to an invention, utility model and industrial design is an inalienable and perpetual right." The use of author's right in this norm is inappropriate. The patent law does not apply to rights of authors. Therefore, as considering that a holder of author's rights is a subject of the Law on Author's Rights and Neighbouring rights only, the term "author's right" may not exist in patent and designs laws. The solution to the problem is much easier – para.3, of Article 1100 must be revoked from the Civil Code and the legal gap discrepancy will be eliminated.

Not to lose the focus of the article, I would like to address a very general provision in the Civil Code in Article 7: "An object of private legal relations may be a material or non-material good, of property or non-property value, which has not been excluded from [commercial] circulation by law". The key problem is the stipulation that an object of private legal relations may be "a material and non-material good of property or non-property value", which is a gross discrepancy as it leads us to believe that private law protects material or non-material good (it is a common knowledge that the scope of the latter includes intellectual rights as well) with property or non-property value. Clearly, material (economic) value may not be determined by non-material value, whereas the norm suggests otherwise. The provision must be amended and formulated as follows: "an object of private legal relations may be a material good of property (economic) value and a non-material good of property or non-property value which has not been excluded from [commercial] circulation by law".



ბორის რჩეულოვი (რჩეული)
Boris Rcheulov (Rcheuli)

# მოლაპარაკე კინემატოგრაფი

# TALKING CINEMATOGRAPH

ელისო ჯარიაშვილი
ELISO JARIASHVILI

თითქმის საუკუნის წინ, 23 წლის ქართველმა ბიჭმა ხმოვანი სიგნალი ლითონის მავთულზე ჩაწერა. ახალგაზრდა მეცნიერის ეს გამოგონება მთელი პლანეტის ტექნოლოგიური განვითარებისთვის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი აღმოჩნდა. ამ ახალი მოწყობილობის საშუალებით შესაძლებელი გახდა ვიზუალური ხმოვანი სიგნალების რამდენიმე მიმღებზე ერთდროულად ჩაწერა. ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენთვის კარგად ცნობილ მეთოდს, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ ტელევიზორიდან ვიდეომაგნიტოფონზე გადაცემის ან ფილმის ჩაწერას, ანუ ხმისა და გამოსახულების ფირზე გადატანას შემდეგი მრავალჯერადი გამოყენების მიზნით.

1922 წელს ქართველმა გამომგონებელმა ბორის ალექსანდრეს ძე რჩეულოვმა რუსეთში დააპატენტა „ხმისა და გამოსახულების მაგნიტური ჩაწერის სისტემა მოძრავ რკინის ფირზე თავისივე გადასახვევი კოჭით“ (სსრკ პატენტი №3803). რჩეულოვის გამოგონება დაპატენტებულია ინგლისშიც 1924 წელს. პროფესიით ფიზიკოსმა და სამხედრო მოხელემ ბორის რჩეულიშვილმა ცხოვრების დიდი ნაწილი პეტერბურგში გაატარა, ამიტომ რუსულ წყაროებში ის მოხსენიებულია, როგორც რუსი მეცნიერი და ცნობილი რუსი ფიზიკოსი.

ბორის რჩეულოვი (რჩეული) დაიბადა თბილისში, 1899 წელს. მისი მამა ალექსანდრე გრიგოლის ძე

Almost a century ago, a 23-year-old Georgian boy recorded an audio signal on a steel wire. The invention proved to be a great step forward for the development of technologies on the planet. The device made it possible to record visual audio signals on several receivers simultaneously. It also paved the way for a method that we are well aware of and use in everyday lives – recording of a program or a movie from a TV set to a video recorder, i.e. transferring image and sound on a tape for multiple uses.

The system of recording on a moving steel wire with a recording head was patented by a Georgian inventor, Boris Rcheulov in Russia in 1992 (1922, patent № 3803, USSR). Rcheulov's invention was also patented in England in 1924. A physicist and a military serviceman, Boris Rcheulov, referred to as Russian scientist and famous Russian physicist in Russian sources, spent most of his life in St. Petersburg.

Boris Rcheulov (Rcheuli) was born in 1899 in Tbilisi. His father, Aleksandre Rcheulov, served as a captain in the first Caucasian Trench Batallion. By 1909, when he enlisted in the military school of St. Petersburg,

რჩეულოვი პირველ კავკასიურ სასანგრე ბატალიონში კაპიტნად ირიცხებოდა. 1909 წელს, როდესაც ბორის რჩეულოვი პეტერბურგის კადეტთა კორპუსში ჩაირიცხა, მამამისი უკვე გადამდგარი პოდპოლკოვნიკი იყო და ოჯახი პეტერბურგში ცხოვრობდა. კადეტები სამხედრო დისციპლინების გარდა, სხვა საგნებსაც სწავლობდნენ. საბუნებისმეტყველო სფეროში მიღებულმა კარგმა განათლებამ ხელი შეუწყო მასში საგამომგონებლო ნიჭის გაღვივებას. სკოლის დამთავრების შემდეგ, ბორის რჩეულოვმა სწავლა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში განაგრძო. სწორედ ამ დროს დაიწყო სამოქალაქო ომი  და რჩეულოვი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, თუმცა, მალე რეზერვში გადავიდა და საშუალება მიეცა მთელი არსებით ჩართულიყო სატელევიზიო სისტემების შემუშავებაში.

ახალგაზრდა მეცნიერს კვლევების ჩასატარებლად ფული სჭირდებოდა. ფინანსურ დახმარებას ცნობილი მუსიკოსები და მომღერლები უწევდნენ. მათ წრეში ბორის რჩეულოვი ძალიან დაფასებული იყო. მისი ნათლია ოპერის მომღერალი ფეოდორ შალიაპინი ყოფილა, რომელიც ხელმოკლე ახალგაზრდა მეცნიერს მთელი ცხოვრების განმავლობაში ეხმარებოდა. ბორის რჩეულოვის რამდენიმე კვლევა დააფინანსა ცნობილმა მევიოლინემ იაშა ხეიფეცმაც.

**„მოლაპარაკე კინემატოგრაფი“** – ასე ერქვა ბორის რჩეულოვის პირველ გამოგონებას, რომლის აღწერილობაც დღემდე შემონახულია და დათარიღებულია 1919 წლის 10 დეკემბრით. სატელევიზიო აპარატზე მუშაობის დასამთავრებლად ფიზიკოსი ინგლისში გაემგზავრა, თუმცა, მალევე საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა, რის გამოც ბორის რჩეულოვს უარი უთხრეს ვიზის გაგრძელებაზე და სამშობლოში დაბრუნდა.

რჩეულოვს ახალ გამოგონებებზე ფიქრი არ ასვენებდა მაშინაც კი, როდესაც იძულებული იყო თავის სარჩენად სატელეფონო ქარხანაში კონსტრუქტორად ემუშავა. ეს იყო XX საუკუნის 20-იანი წლები, როდესაც საბჭოთა კავშირს მეცნიერებისთვის ნაკლებად ეცალა.

ბორის რჩეულოვის გამოგონებიდან 77 წლის შემდეგ, 1956 წელს, ამერიკულმა კომპანიამ „CBS“-მა პირველმა ჩაიწერა სატელევიზიო ეთერი ფირზე ამპექსის ფირმის ვიდეომაგნიტოფონით. ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი უკვე ფირზე გადატანილი ჩანაწერების დამონტაჟება და სატელევიზიო ეთერისთვის ტექნიკური წუნის გარეშე მომზადება. ეს სიახლე განხილვის თემად იქცა ამერიკულ ჟურნალ-გაზეთებში. ამერიკელი ჟურნალისტების შეფასებით, ეს იყო გარღვევა ტექნოლოგიური განვითარების სფეროში. ერთ-ერთი ამერიკელი ჟურნალისტი ჯოზეფ შირსი კი თავის სტატიაში წერდა: „ბევრმა არ იცის, რომ პირველი სიტყვა ვიდეომაგნიტური ჩანაწერის არსებობაში ეკუთვნის ბორის რჩეულოვს – ის იყო

his father was already a retired lieutenant colonel and the family lived in St. Petersburg. In addition to military discipline, they learned other subjects at the military school. The quality education he received in the field of natural sciences helped him to develop the talent of an inventor. After graduating from the military school, Boris Rcheulov continuedhis studies in a technological institute. This was the time when the civil war broke out and Rcheulov was conscripted but soon he joined military reserve and was able to get involved in designing of television systems full-time.

The young inventor needed money for research. Renowned musicians and singers, who deeply respected Boris Rcheulov, provided financial assistance to him. Boris Rcheulov's godfather was opera singer, Feodor Chaliapin, who took care of and helped the poor young man throughout his lifetime. Several of his researches were funded by a famous violinist, Jascha Heifetz.

**"Talking Cinematograph"** was the name of Rcheulov's first invention, description of which is still preserved and dated December 10, 1919. To finish his work on the television device, the physicist left for England but soon diplomatic ties were cut between the Soviet Union and England, and he was refused to have his visa extended. He returned to



Класс 21 a¹, 32 04

№ 5030

ПАТЕНТ НА ИЗОБРЕТЕНИЕ

ОПИСАНИЕ

прибора для видения на расстоянии при помощи фотоэлектрических токов.

К дополнительному патенту **Б. А. Рчеулова (Рчеули)**, заявленному 4 мая 1923 года (заяв. свид. № 76744).

Основной патент на имя того же лица от 15 сентября 1924 года за № 3803.

О выдаче дополнительного патента опубликовано 30 апреля 1928 года. Действие дополнительного патента простирается до 15 сентября 1939 года.

Предлагаемый прибор представляет видоизменения приемника, описанного в основном патенте № 3803, и имеет целью усиление колебательных токов вследствие увеличения площади амальгамы чувствительного в фотоэлектрическом отношении вещества. Получение площади путем колеблющейся пружинки, состоящей из двух частей, расположенных во взаимо-перпендикулярных плоскостях, остается прежним. Но вещество, находящееся на одном конце этой пружины, устраняется и заменяется легкой светоотражающей поверхностью. Само фотоэлектрическое вещество представляет собой большую площадь, на которую от небольшого зеркальца падает световой луч. Луч этот воспринимается зеркалом через маленькую диафрагму, отверстие коей расположено перед зеркалом в месте получения изображения.

На фиг. 1 и 2 изображено первое видоизменение, а на фиг. 3, 4 и 5—три дальнейшие видоизменения приемника, описанного в основном патенте № 3803. Обозначения фиг. 1: *AB*—пружинка; *AO*—расходящийся пучок света; *O*—отверстие заслонки; *И*—изолятор; *Э*—второй электрод. Обозначения фиг. 2: *П*—положение изображения; *H*—направление движения одной из пластинок. Обозначения фиг. 3: *C* и *E*—два сферических зеркальца; *O*—отверстие; *M*—приемник; *N*—второй электрод фотоэлемента. Обозначения фиг. 4: *A*—примерный луч света; *Д*—отверстие заслонки *g*; *BC*—незащищенное от света место; *Д*—выпуклое зеркальце; *E*—кольцо для контакта; *F*—амальгамы. Обозначения фиг. 5: *Д*—зеркальце; *A*—луч; *b*, *c*, *d*, *e*—направление лучей в виде рассеянного пучка света.

Внешняя форма фотоэлементов (фиг. 1) напоминает собой электрические лампочки. Цоколь служит для контакта с тонкой платиновой проволокой (положительным элек-



PATENT SPECIFICATION

Application Date: Jan. 4, 1927. No. 248/27.

288,680

Complete Left: Oct. 4, 1927.

Complete Accepted: April 4, 1928.

PROVISIONAL SPECIFICATION.

**Improved Means of Recording and Reproducing Pictures, Images and the like.**

I, Boris Rtcheouloff, of 179, Cromwell Road, S.W. 5, London, England, a Russian subject, do hereby declare the nature of this invention to be as follows:—

This invention relates to a method of recording and reproducing pictures, images and the like of the kind in which the picture, image or the like is scanned by an oscillatory vertical and horizontal movement and in which the luminosity of the various points of the picture is converted into electric currents by means of a photo-electric element, selenium cell or directions also at right angles to one another, the free end of one of the springs being provided with the photo-electrically sensitised point or small surface. The photo-electrically sensitised point forms part of a photo-electric cell and whilst it vibrates it scans the image projected within the photo-electric cell thereby causing a series of fluctuations in the photo-electric current which fluctuations correspondingly energise one or more electro-magnets arranged in front of a travelling strip, cylinder or disc of iron. The fluctuations of the photo-electric current

წარმოშობით საბჭოთა კავშირიდან. მან 77 წლის წინ ჩაწერა ხმოვანი სიგნალი ლითონის მოწყობილობაზე. სწორედ ეს გამოგონება გახდა საფუძველი დღევანდელი წარმატებისა" (SMPTE J., 1981, №6), ავტორმა სტატიას დაურთო მასალები, რომლის მიხედვითაც ბორის რჩეულოვს იდეა დაპატენტებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1922 წელს.

„მოლაპარაკე კინემატოგრაფი" რჩეულოვის ერთადერთი გამოგონება არ ყოფილა. ქართველი ფიზიკოსი ტელევიზიის განვითარებისათვის განკუთვნილი სხვა არაერთი ხელსაწყოს ავტორიცაა (ელექტროლიტური კონდენსატორი, კანიფოლით შევსებული სარჩილავი მავთული, სამხედრო დანიშნულების ელექტრონული მოწყობილობები და სხვ.).

ქართველი ფიზიკოსი ბორის ალექსანდრეს ძე რჩეულოვი გარდაიცვალა ლენინგრადის ბლოკადის დროს 1942 წელს. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც ის სამკურნალოდ იმყოფებოდა №1014 სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც გარდაიცვალა 5-დღიანი უშედეგო მკურნალობის შემდეგ, 43 წლის ასაკში.

სამსახურიდან სახლში დაბრუნებული სავარძელში რომ მოკალათდები და დისტანციური მართვის პულტით სასურველ გადაცემას დროში უკან გადაახვევ, ფილმის სანახავად შეარჩევ HD, DVD ან BD ხარისხს, დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან პირდაპირ ეთერს რომ უყურებ და მთელი მსოფლიოს ახალ ამბებს ერთი სიფრიფანა საგანი შენს ოთახში რომ შეგიგროვებს, გეცოდინება, რომ ეს ყველაფერი დაიწყო 23 წლის ქართველმა გამომგონებელმა ლითონის ფირზე ხმისა და გამოსახულების ჩაწერით.

his homeland.

He kept thinking about his new inventions, even when he was forced to start working as a constructor in a telephone factory to make ends meet, in 1920s when the Soviet Union did not have time for scientists.

In 1956, 77 years after Boris Rcheulov's invention, American company "CBS" recorded television airtime on a tape for the very first time with the use of an Ampex video recorder. It later made it possible to edit recordings on the tape and prepare it for television without any technical defects. American magazines and newspapers started writing about the news, saying that it was a breakthrough in the field of technological development. One of the American journalists, George Shiers wrote: "Little may know that the first word in video magnetic recording belongs to Boris Rcheulov. He was from the Soviet Union and recorded an audio signal on a steel wire 77 years ago. This very invention served as a foundation for today's success" (SMPTE J., 1981, № 6). To his article the journalist enclosed materials proving that Boris Rcheulov had patented the idea as early as in 1922.

"Talking Cinematograph" was not the only invention of Rcheulov. The Georgian physicist is the author of a number of other devices that contributed to the development of television (electrolyte condenser, rosin core solder wire, electronic devices of military use, etc.).

The Georgian physicist died during the Siege of Leningrad in 1942. According to the report, Boris Rcheulov was undergoing treatment in a military hospital N1014. Following a five-day unsuccessful treatment he died at the age of 43.

When you go back home from work, sit comfortably in your armchair and rewind back a TV program of your choice with a remote control, choose a movie in HD, DVD or BD quality, watch live stream from any part of the world and collect news from all over the world in a thin object in your room, you will then know that it all started with an audio recorded on a steel wire by a 23-year old Georgian inventor.

## ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲘ

პატენტი არის გამომგონებლისთვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დროით მინიჭებული მონოპოლიური უფლება, რომლის საფუძველზეც პატენტის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ პირს აუკრძალოს პატენტით დაცული გამოგონებით სარგებლობა. ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მონოპოლიური უფლებების მინიჭება დასტურდება საპატენტო სიგელით (პატენტით), რომელიც გაიცემა საქპატენტის მიერ. პატენტი შეიძლება გაიცეს მაქსიმუმ 20 წლის ვადით. პატენტი, როგორც საკუთრებითი უფლების ფორმა შეიძლება გახდეს გაყიდვის ან ლიცენზირების ობიექტი.

## ᲐᲓᲒᲘᲚᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად:

- რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;
- რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით;
- რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

ადგილწარმოშობის დასახელება რეგისტრირდება საქპატენტში.

## ᲡᲐᲡᲐᲥᲝᲜᲚᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ

სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება საქპატენტში.

## ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ

დიზაინი არის პროდუქტის გარეგანი სახე, გამოსახულება. დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურია. დიზაინი რეგისტრირდება საქპატენტში.

## ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს. საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნის მომენტიდან.

ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს, ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დეპონირება განახორციელოს საქპატენტში. დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება.

## PATENT

A patent is a monopoly right granted to an inventor for a certain period of time defined by the state, based on which a patent holder can prohibit any person to use a patented invention. Granting of monopoly rights to a natural person or legal entity is confirmed by a patent, which is issued by Sakpatenti. A patent may be granted for a maximum of 20 years. A patent, as a form of property right, may become an object of sale or licensing.

## APPELLATION OF ORIGIN

An appellation of origin is a modern or historical name of a geographical place, region or, in exceptional cases, a name of a country, used to designate the goods:

- originating within the given geographical area;
- the specific quality and features of which are essentially or exclusively due to a particular geographical environment and human factors;
- production, processing and preparation of which take place within the geographical area.

Appellation of origin shall be registered at SAKPATENTI.

## TRADEMARK

A trademark is a sign or combination of signs that can be represented graphically and is capable of distinguishing the goods or services or both of one undertaking from those of other undertakings. Trademark shall be registered at SAKPATENTI.

## DESIGN

Design is an external view, appearance of the product. Legal protection shall be granted to a design if it is new and has individual character. Design shall be registered at SAKPATENTI.

## COPYRIGHT

Copyright shall apply to scientific, literary and artistic works which are the result of the intellectual and creative activity. Copyright is originated upon its creation.

The author or other copyright owner may deposit the original or a copy of a work with SAKPATENTI. Person indicated in a Deposition Certificate shall be deemed to be the author of the work, unless otherwise proved.

დაბეჭდილია საქპატენტის პოლიგრაფიაში
მის.: 0179, თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31
ტელ.: (+995 32) 291-71-82

PRINTED AT SAKPATENTI PUBLISHING HOUSE
ADDRESS: 0179 TBILISI, NINO RAMISHVILI STR. 31
TEL.: (+995 32) 291-71-82

info@sakpatenti.org.ge

www.sakpatenti.org.ge